პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и
СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 196 (9356)

სამშაბათი 19 აგვისტო 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

ბოლომდე გარდავქმნათ რკინიგზის პოლიტგანყოფილებათა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობა — მოწინავე (1-ლი გვერდი).

მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია (1-ლი გვერდი).

მემანქანე — ნოვატორი (1-ლი გვერდი).

ახალი ამოცანების დონეზე ავიყვანოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ამიერკავკასიის რკინიგზაზე. ამხ. ა. ი. მგელაძის სიტყვა ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტმუშაკთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა თათბირზე (მე-2 გვერდი).

ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილებათა მუშაკებისა და სამეურნეო ხელმძღვანელების თათბირი საქართველოს კომუნისტთა ცენტრალურ კომიტეტში (მე-3 გვერდი).

ე. ნ. პავლოვსკი. დიდი მეცნიერი-ენციკლოპედისტი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ბოლომდე გარდავქმნათ რკინიგზის პოლიტგანყოფილებათა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობა

ამიერკავკასიის რკინიგზის წინაშე დასახულია დიდი ამოცანები, რომელთა შესრულება შეიძლება მხოლოდ რიტმული, კარგად ორგანიზებული მუშაობით. ამიერკავკასიის რკინიგზის მოწინავე უბნებსა და რკინიგზელებს აქვთ მუშაობაში ერთგვარი წარმატებები. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი. ცუდი მაჩვენებლებით მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზა 1952 წლის პირველ ნახევარში, ამასთან საგეგმო დავალებათა შესრულების მეორე კვარტალის მაჩვენებლები გაცილებით დაბალია პირველ კვარტალთან შედარებით.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ამ დღეებში შემდგარ თათბირზე აღინიშნა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. ცალკეულ განყოფილებებში არ სრულდება ვაგონების ბრუნვის დაწესებული ნორმები, ირღვევა მოძრაობის გრაფიკი, სუსტია საწარმოო და შრომის დისციპლინა.

ეს ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ გზის პოლიტგანყოფილებებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ვერ შეძლეს ბოლომდე და გადაჭრით აღმოეფხვრათ მუშაობის მანკიერი სტილი, რომელიც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა ხელმძღვანელობამ დანერგა, ვერ აამაღლეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ახალი ამოცანების დონემდე, სწორად ვერ შეახამეს პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო საქმიანობასთან, სათავეში ვერ ჩაუდგნენ რკინიგზელთა მასების ბრძოლას საწარმოო აღმავლობისათვის.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ **„...სამეურნეო წარმატებანი, მათი სიმტკიცე და ხანგრძლივობა მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წარმატებებზე, რომ ამ პირობის გარეშე სამეურნეო წარმატებანი შეიძლება ქვიშაზე აგებული აღმოჩნდეს“.**

პარტიულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენებით აიხსნება ის, რომ ამიერკავკასიის რკინიგზაზე ჯერ კიდევ დიდია საწარმოო და შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. დისციპლინის დამრღვევთა შორის კომკავშირელები და კომუნისტებიც არიან.

სამწუხაროდ, ყველა ეს ფაქტი პოლიტგანყოფილებებისა და პარტიული ორგანიზაციების ყურადღების გარეშე რჩება. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული შრომის დისციპლინა თბილისის განყოფილებაში, სადაც მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დისციპლინის დარღვევის 900-ზე მეტი შემთხვევა იყო.

პოლიტგანყოფილებებისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში დანერგილი არ არის შესრულების შემოწმების ბოლშევიკური სტილი. გზის სამმართველოს და პოლიტგანყოფილებას აქამდე ვერ მოუწესრიგებიათ შესრულების სისტემატური შემოწმება. უკანასკნელი წლების განმავლობაში არაერთი ბრძანება იქნა გამოცემული ამიერკავკასიის რკინიგზაზე შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაშიშროების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, მაგრამ ტრანსპორტის ზოგიერთი მეთაური არ ასრულებს ამ ბრძანებებს.

საჭიროა პოლიტგანყოფილებებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა არსებითად მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს, დაეხმარონ სამმართველოს და განყოფილებებს ბრძანებათა შესრულების შემოწმებაში. აუცილებელია მაქსიმალურად შემცირდეს ბრძანებების წერა და მეტი ცოცხალი ხელმძღვანელობა გაეწიოს ტრანსპორტის მუშაობას.

პოლიტგანყოფილებები სუსტად არიან დაკავშირებული პარტიულ ორგანიზაციებთან, რკინიგზელთა მასებთან, ყურადღებით არ ისმენენ მასების ხმას, განსაკუთრებით ქვემოდან მომდინარე კრიტიკას, და სათანადოდ არ იყენებენ მას როგორც შეცდომებისა და ჩავარდნების გამოსწორების მძლავრ საშუალებას. განსაკუთრებით სერიოზული ნაკლოვანებანია თბილისის განყოფილების პოლიტგანყოფილების მუშაობაში. პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. გეტაშვილი არ გრძნობს საჭირო პასუხისმგებლობას განყოფილების მუშაობისათვის. პოლიტგანყოფილება სუსტად ეხმარება პარტიულ ორგანიზაციებს, ყოველდღიურად არ წარმართავს მათს საქმიანობას. განყოფილების უფროსსა და პოლიტგანყოფილებას შორის შეთანხმებული მუშაობა არ არის.

ამოცანა ის არის, **რომ** ბოლო მოვუღოთ რკინიგზის პოლიტგანყოფილებათა მოწყვეტას პირველადი პარტიული ორგანიზაციებისაგან, რკინიგზელთა მასებისაგან. საჭიროა პოლიტგანყოფილებათა მუშაობაში აღმოვფხვრათ კანცელარული მეთოდები, გადავაქციოთ ისინი პარტიის მებრძოლ ორგანოებად, რომლებიც გამსჭვალული არიან პასუხისმგებლობით ტრანსპორტის მუშაობისათვის და რომლებიც აქტიურად ეხმარებიან საწარმოო აღმავლობის საქმეს.

იმ დიდმა მუშაობამ, რომელიც უკანასკნელ ხანს გაიშალა ჩვენს რესპუბლიკაში გაფლანგვა-დატაცებისა და მექრთამეობის წინააღმდეგ, სათანადო გაქანება ვერ ჰპოვა ამიერკავკასიის რკინიგზაზე. ამის შედეგად გაფლანგვა-დატაცებისა და მექრთამეობის ფაქტები, აგრეთვე უბილეთო მგზავრების გადაყვანის შემთხვევები არ კლებულობს.

პოლიტგანყოფილებათა მუშაობის ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ სისტემატურად ირღვევა კადრების შერჩევის, აღზრდისა და გაწაწილების ბოლშევიკური პრინციპი. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ახალგაზრდა კადრების დაწინაურების საქმე. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა კადრების იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას. ამის გამო ყოველწლიურად მცირდება იმ კომუნისტების რიცხვი, რომლებიც დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდით სწავლობენ ბოლშევიზმის ისტორიასა და თეორიას. პოლიტგანყოფილებათა ბევრმა მუშაკმა დაივიწყა, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა კადრების აღზრდის ბოლშევიკური მეთოდია. საჭიროა ფართოდ გავშალოთ ბოლშევიკური კრიტიკა, დაუნდობლად ვამხილოთ და გამოვასწოროთ მუშაობაში არსებული ნაკლი, სასწრაფოდ დავძლიოთ ნამორჩენა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. მგელაძემ, რომელიც ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკთა თათბირზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში, ახალი საბრძოლო ამოცანები დაუსახა საქართველოს რკინიგზელებს. მან მოითხოვა ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაობის გარდაქმნის დაჩქარება, ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ გზის მუშაობაში დანერგული პოლიტიკური უდარდელობისა და პარადული განწყობილების გადაჭრით აღმოფხვრა.

ამიერკავკასიის რკინიგზაზე რამდენიმე ათასი კომუნისტი და კომკავშირელი მუშაობს. ეს უდიდესი არმიაა. ამ არმიის სწორად გამოყენებით, მისი მჭიდროდ დარაზმვით რკინიგზის პოლიტგანყოფილებებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ყველა ნაკლის გამოსწორება, მუშაობაში უკეთესი შედეგების მიღწევა. გზის ხელმძღვანელობამ, პოლიტგანყოფილებებმა და გაყოფილებათა მეთაურებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა საჭიროა სასწრაფოდ გარდაქმნან მუშაობა, ახლებურად, ბოლშევიკურად მოაწყონ თავიანთი საქმიანობა და უახლოეს დროში უზრუნველყონ ამიერკავკასიის რკინიგზის ჩაყენება ჩვენი ქვეყნის მოწინავე გზების რიგებში.

ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

რკინიგზის ტრანსპორტზე ნამსახურობისა და უმჯობესი მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკთა დიდი ჯგუფი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 115 კაცი. მათ შორის არიან ზესტაფონის საელმავლო დეპოს მორიგე **ე. ი. ავალიანი**, თბილისის კონდუქტორთა რეზერვის მთავარი კონდუქტორი **ა. პ. ბახილაძე**, ხაშურის საელმავლო დეპოს მემანქანე **გ. ვ. ბუღაძე**, ბათუმის სალიანდაგო დისტანციის გზის შემომვლელი **თ. გ. ბურნაძე**, გურჯაანის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე **ნ. ვ. გელაძე**, სამტრედიის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორი **შ. ნ. ჯანელიძე**, თბილისის სატვირთო სადგურის მატარებლების შემდგენელი **ხ. გ. ღონღაძე**, თბილისის სატვირთო სადგურის სავაგონო უბნის მატარებლის ვაგონის ოსტატი **გ. ი. კალატოზიშვილი**, ბორჯომის საელმავლო დეპოს მორიგე **გ. პ. ნოზაძე** და სხვები.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული არიან ნავთლუღის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის ელექტრომექანიკოსი **ა. ფ. მოისეევი**, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის ყოფილი მოადგილე, ამჟამად საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სატრანსპორტო განყოფილების გამგე **გ. ვ. ვარდოსანიძე**, თბილისის სავაგონო დეპოს მატარებლის ვაგონის ოსტატი **პ. პ. მრევლიშვილი**, მთავარი ინჟინერი — ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილე **ი. მ. მარინაშვილი**, რიონის სადგურის მატარებლის შემდგენელი **ვ. რ. გეგიძე**, ამიერკავკასიის რკინიგზის საორთქლმავლო სამსახურის უფროსი **ი. გ. ნუცუბიძე**, ქუთაისის სადგურის მატარებლის შემდგენელი **დ. პ. ობოლაძე**, ამიერკავკასიის რკინიგზის ტექნიკური განყოფილების უფროსი **მ. ზ. თოიძე** და სხვები, სულ 157 კაცი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოებულია 203 კაცი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 136 კაცი. (საქდესი).

მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

17 აგვისტოს მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი. მასთან ერთად ჩამოვიდნენ სახელმწიფო ადმინისტრაციულ საბჭოს პრემიერის მოადგილე ჩენ იუნი, სახელმწიფო ადმინისტრაციულ საბჭოსთან არსებული საფინანსო-ეკონომიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლი ფუ-ჩუნი, სახალხო-რევოლუციური სამხედრო საბჭოს გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე სუ იუი, მძიმე მრეწველობის მინისტრი ვან ხაო-შოუ, სათბობის მრეწველობის მინისტრი ჩენ იუი, საფინანსო-ეკონომიური კომიტეტის სამდივნოს უფროსი სუნ შაო-ვენი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი ლიუ ია-ლოუ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლის მოადგილე ლო შუნ-ჩუ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის არტილერიის სარდლის მოადგილე ციუ ჩუან-ჩენი, მანქანათმშენებელი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ვან დაო-ხანი, ფოსტის, ტელეგრაფისა და ტელეფონის მინისტრის მოადგილე ვან ჯენი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური მდივანი ში ჯე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სსრ კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განყოფილების უფროსი სიუი ი-სინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის განყოფილების უფროსი ჩენ ძია-კანი.

ცენტრალურ აეროდრომზე ჩამოსულთ შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. მ. მოლოტოვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი პ. ნ. კუმიკინი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ს. პანიუშკინი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ა. ა. პავლოვი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. პ. მიგუნოვი, გენერალ-პოლკოვნიკი მ. ს. მალინინი, კონტრ-ადმირალი ვ. დ. იაკოვლევი, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი პ. ი. ბრაიკო, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი კ. რ. სინილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს 1-ლი შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ნ. ტ. ფედორენკო, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს აღმოსავლეთის სამმართველოს უფროსი მ. ი. სლადკოვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ვ. პასტოევი.

ჩამოსულთ აგრეთვე შეხვდნენ სსრ კავშირში არსებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრის ჯან ვენ-ტიანის მეთაურობით, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ს. ბლაგოევა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნ. იდამჟაბი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ა. სკლადანი, ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მ. ონი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლიმ ხე, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნგუენ ლონ ბანგი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მ. დალია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის მეთაური რ. აპელტი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ვ. ნატანაილი, ავღანეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული მუჰამედ აშრაფ ხანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული ლ. პოგორილესი, ინდოეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული ე. განდევია, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული დ. ეჩნი.

შეხვედრისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომი მორთული იყო ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

საზღვარზე დელეგაციას შეხვდა და მოსკოვამდე მოაცილა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგემ ა. გ. კულაჟენკოვმა. (საკდესი).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის სიტყვა აეროდრომზე მოსკოვს ჩამოსვლისას

ძვირფასო ამხანაგებო!

თავმჯდომარის მაო ძე-დუნის დავალებით მე და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის ყველა წევრი მოსკოვს ჩამოვედით, რაც ჩვენთვის უდიდესი პატივია.

მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რაც 1950 წელს დაიდო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის, ორი დიდი სახელმწიფოს — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა მტკიცე ურღვევი მეგობრობის დემონსტრაცია გახდა. ყველას შეუძლია ფაქტებით დარწმუნდეს იმ უდიდეს როლში, რომელსაც ეს ჩვენი მძლავრი და უძლეველი კავშირი ასრულებს შორეულ აღმოსავლეთში და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

ჩინელი ხალხი სულითა და გულით მიესალმება და ულოცავს ჩვენს დიდ მოკავშირეს — საბჭოთა კავშირს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში მის მიერ მოპოვებულ ბრწყინვალე გამარჯვებებს. ჩინელ ხალხს მშვენივრად ესმის, რომ ეს გამარჯვებანი არა მარტო საბჭოთა ხალხის კუთვნილებაა, არამედ მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის კუთვნილებაცაა, რადგან ეს გამარჯვებანი ბევრად ამრავლებენ ძალებს, რომლებიც მთელ მსოფლიოში მშვიდობას იცავენ.

უცხოეთის იმპერიალიზმისა და გომინდანელთა რეაქციული ხროვის ბატონობის დამხობის შემდეგ სამი წლის განმავლობაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და თავმჯდომარის მაო ძე-დუნის სწორი ხელმძღვანელობის მეოხებით, მთელი ჩინელი ხალხის ლონისძიებათა მეოხებით, აგრეთვე საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა ხალხის მხურვალე დახმარების მეოხებით განუწყვეტლივ სძლევს ყოველგვარ სიძნელეს, როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ და უკვე მოიპოვა მნიშვნელოვანი წარმატებანი სახელმწიფო მშენებლობის ყველა უბანზე.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა თავმჯდომარის მაო ძე-დუნის, ჩინეთის მთავრობისა და ჩინელი ხალხის სახელით გამოვთქვა მადლობა იმ ძმური, უანგარო დახმარებისათვის, რასაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა ხალხი გენერალისიმუს სტალინის ხელმძღვანელობით უწევს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია ამჟამად მოსკოვს ჩამოვიდა, რათა შემდგომ განმტკიცოს ორი ქვეყნის მეგობრული თანამშრომლობა და განიხილოს ამასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ორი დიდი სახელმწიფოს—ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეგობრული თანამშრომლობის შემდგომი განვითარება აუცილებლად გახდება უფრო მნიშვნელოვანი წვლილი ჩინელი და საბჭოთა ხალხების მშვიდობიანი მშენებლობის საქმეში, აგრეთვე მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობიანი მშენებლობის საქმეში.

გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეგობრობას, კავშირსა და თანამშრომლობას!

გაუმარჯოს ჩინელი ხალხის საუკეთესო მეგობარს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის შემადგენლობა

ქვემოთ ქვეყნდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის შემადგენლობა.

დელეგაციის მეთაური ჯოუ ენ-ლაი, დელეგაციის წევრები — ჩენ იუნი, ლი ფუ-ჩუნი, ჯან ვენ-ტიანი, სუ იუი, დელეგაციის მრჩევლები — ვან ხაო-შოუ, ჩენ იუი, სუნ შაო-ვენი, ლიუ ია-ლოუ, ლო შუნ-ჩუ, ციუ ჩუან-ჩენი, ვან დაო-ხანი, ვან ჯენი, ში ჯე, სიუი ი-სინი, ჩენ ძია-კანი.

ადამიანები, რომელთა შრომა მისაბაძია



გრიგოლ ბოგვერაძე

მემანქანე — ნოვატორი

გრიგოლ ბოგვერაძე თბილისის საელმავლო დეპოში ყველაზე ახალგაზრდა, მაგრამ ყველაზე დახელოვნებული მემანქანეა. მან სახელი გაითქვა როგორც ხუთასოვანმა მემანქანემ, როგორც მძიმე წონის მატარებლის ტარების ოსტატმა, აგრეთვე იმითაც, რომ ყველაზე კარგი შედეგი მოიპოვა ელექტრომავლის შეკეთებათაშორისო გარბენის გადიდებისათვის ბრძოლაში.

რით აღწევს ასეთ წარმატებას გრიგოლ ბოგვერაძე და მეელმავლეთა მისი სახელოვანი ბრიგადა?

ბრიგადის ყველა წევრმა კარგად იცის, რომ მათი წარმატება დამოკიდებულია ელექტრომავლის გამართულობაზე. ამიტომ ელექტრომავალს დიდი მონდომებითა და მზრუნველობით უვლიან, გულმოდგინედ წმენდენ, ასუფთავებენ, მის ყოველ ნაკლს დროულად არკვევენ და დაუყოვნებლივ ასწორებენ.

მოწინავე მემანქანემ თავისი ბრიგადის წევრებს ზედმიწევნით შეასწავლა ელექტრომავლის ტექნიკური ექსპლოატაციის, მოვლის წესები. მათ შორის შრომა ისე გაანაწილა, რომ შესაძლებელი გახდა მეტი ეფექტის, მეტი ნაყოფიერების მიღწევა. მაგრამ ნოვატორი მემანქანის მუშაობაში მთავარი ის არის, რომ მან შეიმუშავა მატარებლის ტარების რაციონალური რეჟიმი, რომელიც მას საშუალებას აძლევს ელექტროენერგიის ნაკლები ხარჯვით განავითაროს მეტი სიჩქარე და გადაზიდოს მეტი ტვირთი.

ხანგრძლივი დაკვირვებით გ. ბოგვერაძემ ყოველმხრივ შეისწავლა გზის პროფილი თბილისი-ხაშურის უბანზე. როგორც გამოცდილი მეგზური მთაში იცნობს ყოველ ბილიკს, ისე გრიგოლ ბოგვერაძემ იცის ამ უბნის ყოველი მოსახვევი, დიდი თუ პატარა აღმართი და მატარებლის სიჩქარეს მოხდენილად უხამებს გზის რელიეფის თავისებურებას. იგი დიდ ყურადღებას აქცევს მუხრუჭით მართვას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა გზის ძნელ უბანზე. დროულად და მოხერხებულად იყენებს მას აღმართებში. სრულ წესრიგზე აქვს სასილე მეურნეობა. მოსახვევებსა და აღმართებში ქვიშის ოსტატურად გამოყენებით მან აღმოფხვრა გოგორწყვილების თრევა.

ნოვატორი მემანქანე მიღწეულით არ კმაყოფილდება და მუდამ ახალ საშუალებებს ეძებს ელექტრომავლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ცნობილია, რომ ელექტრომავლის სადღეღამისო გარბენის გადიდებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს დამხმარე დროის შემცირებას. მემანქანეებს დიდი დრო ეხარჯებათ ელექტრომავლის ეკიპირებაზე, ე. ი. იმ ოპერაციათა შესრულებაზე, რაც საჭიროა მატარებლის წასაყვანად ელექტრომავლის მომზადებისათვის. გრიგოლ ბოგვერაძემ ამ საქმეში წარმატებით გამოიყენა წარჩინებული მემანქანის, მისი საყვარელი მასწავლებლის ვასილ ოსაძის მოწინავე გამოცდილება და ისე მოაწყო ეკიპირება, რომ ელექტრომავლის გადაბარებიდგების პროცესში ერთდროულად ქვიშასაც იმარაგებს და ლოკომოტივის ნაწილების დაზეთვასაც ასწრებს. სხვადასხვა ოპერაციის ერთდროულად შესრულებამ ეკიპირების დრო საგრძნობლად შეამცირა. დამხმარე დროის შემცირებითა და სამუშაო დროის მაქსიმალური შემჭიდროებით დღეღამეში ელექტრომავლით შესაძლებელი გახდა 500 კილომეტრისა და უფრო მეტი მანძილის გავლა, რაც დაწესებულ ნორმას თითქმის ორჯერ აღემატება.

ნოვატორმა მემანქანემ მხურვალედ დაუჭირა მხარი ჩვენი ქვეყნის მოწინავე მემანქანეების ინიციატივას და თბილისის საელმავლო დეპოში პირველმა დაიწყო სახელობითი განრიგით მუშაობა. ამ მეთოდით მუშაობის შესახებ მან შემდეგი გვიამბო:

— ჩვენ ზუსტად გამოვიანგარიშეთ რკინიგზის თბილისი-ხაშურის უბანზე შემადგენლობათა გატარებისათვის საჭირო დრო. ზუსტად განვსაზღვრეთ ისიც, თუ რომელი მემანქანე საშუალოდ რა დროში მიიყვანს შემადგენლობას დანიშნულ ადგილზე. ასე შედგა პირველი სახელობითი განრიგი. იგი გვიჩვენებს, თუ დეკადის განმავლობაში რომელ შემადგენლობებს და რა მიმართულებით წაიყვანს ჩემი ელექტრომავალი. სახელობითი განრიგის განუხრელად შესრულების მიზნით უფრო მჭიდრო კავშირი დავამყარე საელმავლო დეპოს მუშაკებთან და მორიგე დისპეტჩერებთან. ახლა ისინი სისტემატურად გვატყობინებენ სახელობითს განრიგში მოსალოდნელ ცვლილებებს, წინასწარ გვამცნობენ, თუ რომელ სადგურში რამდენი ვაგონის ახსნა ან მიბმა მოგვიხდება. გვაფრთხილებენ აგრეთვე ამინდის მოსალოდნელ ცვლილებათა შესახებ. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს უკეთესად ვატაროთ ლოკომოტივი, გავზარდოთ სასარგებლო მუშაობის დრო, დავაჩქაროთ სახალხო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვა, შევამციროთ ელექტროენერგიისა და მასალების ხარჯვა.

სახელობითი განრიგით მუშაობის შედეგად გ. ბოგვერაძის კომკავშირულმა ბრიგადამ ივლისში ნორმასთან შედარებით 5 პროცენტით გაადიდა ელექტრომავლის ტექნიკური სიჩქარე, რაც საგრძნობლად აღემატება წინა თვეებში მოპოვებულ მაჩვენებლებს.

დ. სტურუა,
მ. არო.შიძე.

პურის ჩაბარების გეგმის შესრულება

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის კახეთის რაიკომის მდივანი ამხ. ჯავახიშვილი და რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ჯიქურაძე იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა 15 აგვისტოსათვის 101,7 პროცენტით შეასრულეს 1952 წლის მოსავლის პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა, მათ შორის ხორბლისა — 128,3 პროცენტით.

გრძელდება პურის ჩაბარება მტს-ების მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის წარდგენილი ანგარიშების მიხედვით.

ახალი ამოცანების დონეზე ავიყვანოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ამიერკავკასიის რკინიგზაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. პ. ი. მგელაძის სიტყვა ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტმუშაკთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა თათბირზე

ამხანაგებო! ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა, საბჭოთა კავშირის ყველა რკინიგზელთან ერთად, იკისრა დიდი და საპატიო ვალდებულებანი, სიტყვა მისცა ამხანაგ სტალინს, რომ გააძლიერებს თავის წვლილს კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა ამიერკავკასიის რკინიგზაზე პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის სერიოზული გარდაქმნა და ყოველმხრივ გაძლიერება, საჭიროა ნაკლოვანებათა გადაჭრით აღმოფხვრა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა იმისათვის მოიწვია გზის პოლიტგანყოფილებების მუშაკთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა თათბირი, რომ გამოამჟღავნოს ეს ნაკლოვანებანი და დასახოს ღონისძიებანი მათი უსწრაფესი აღმოფხვრისათვის.

პარტია, მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი ყოველწლიურად უსახავენ რკინიგზის ტრანსპორტს სულ ახალ, მზარდ ამოცანებს. ასეთივე ახალი ამოცანები ისახება ამიერკავკასიის რკინიგზის წინაშეც, რომლის მნიშვნელობა იმით განისაზღვრება, რომ მას გადაქვს უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ტვირთები — ნავთი, მარგანეცი, ქვანახშირი, მარცვლეული. ამიერკავკასიის რკინიგზას პარტია და მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი უდიდეს დახმარებას უწევენ. ყოველ წელიწადს ასეულ მილიონობით მანეთი იხარჯება უახლესი ტექნიკის დასანერგავად, მშენებლობისათვის, გზის შემდგომი ტექნიკური აღჭურვისათვის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის რკინიგზა მაინც არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. ამიერკავკასიის რკინიგზამ, რომელიც სამამულო ომის წლებში საბჭოთა კავშირის მოწინავე გზების რიცხვში იყო და რომელმაც სამუდამოდ შესანახავად მიიღო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დროშა, უკანასკნელ წლებში მუშაობა გააუარესა და ჩამორჩა. რა არის ამის მიზეზი? მიზეზია დისციპლინის შესუსტება, პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის სუსტად დაყენება.

დაბალ შრომითს და ტექნოლოგიურ დისციპლინას მოწმობს ის, რომ მუშაობაში წუნის მრავალი შემთხვევაა, დღემდე აღმოუფხვრელია ავარიები და ტექნიკური ექსპლოატაციის წესების სხვა სახის დარღვევები.

ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაგვაკმაყოფილებს გასული ნახევარი წლის შედეგები, რომლებიც ხასიათდება იმით, რომ მეორე კვარტალში გზამ მუშაობა გააუარესა ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით.

ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკთა კადრები რომ აღეზარდათ ბოლშევიკური პრინციპულობის, საქმიანობის სულისკვეთებით, შრომის დისციპლინის უსასტიკესი დაცვის სულისკვეთებით, გზა, უეჭველია, უფრო წარმატებით დაძლევდა თავის ამოცანებს.

პარტიული ორგანოები, პოლიტგანყოფილებები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები, გზის თვითეული კომუნისტი მოვალენი არიან იბრძოლონ რკინიგზის ტრანსპორტის ყველა რგოლის გამართული, შეუფერხებელი მუშაობისათვის. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ ამას.

რას ნიშნავს პარტიულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის სწორად დაყენება? ეს ნიშნავს იმას, რომ გყავდეს პოლიტიკურად აღზრდილი ადამიანები. პოლიტიკურად აღზრდილი ადამიანი კი ყოველთვის კარგად იმუშავებს.

თუ გზაზე შრომის დისციპლინა ირღვევა, თუ დაცული არ არის მატარებელთა მოძრაობის უსაშიშრობის პირობები, ეს მოწმობს პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას.

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა, გავაძლიეროთ პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა ამ საქმისათვის, განვამტკიცოთ მათი როლი ტრანსპორტის კონვეიერის გამართული მუშაობისათვის, ვინაიდან, თუ პარტიული ორგანიზაცია უმოქმედობას იჩენს, დისციპლინა არ იქნება.

დისციპლინა რკინიგზაზე ისე უნდა იყოს დაყენებული, როგორც ამას მოითხოვენ პარტია, ამხანაგი სტალინი. ეს არის პოლიტგანყოფილებების და ტრანსპორტზე მომუშავე თვითეული კომუნისტის ამოცანა. საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, რომ მეთაურთა შემადგენლობა დისციპლინიანობის პირად მაგალითს იძლეოდეს. თუ ჩვენს გზაზე ხშირია დისციპლინის დარღვევები, ეს იმით აიხსნება, რომ დისციპლინას არ იცავს გზის მოცემული განყოფილების, მოცემული უბნის ხელმძღვანელი შემადგენლობა. უფროსით დაწყებული და მეცხრით დამთავრებული, ყველა უნდა იბრძოდეს დისციპლინის განმტკიცებისათვის.

დისციპლინა ყველგან უნდა იყოს დაცული, მაგრამ იგი განსაკუთრებით საჭიროა რკინიგზაზე. უდისციპლინოდ შეუძლებელია აწყობილი მუშაობა. ამაზე მიგვითითებდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, ამას ყოველდღიურად აქცევს ყურადღებას ამხანაგი სტალინი.

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1918 წელს წერდა: „...მსხვილი მანქანური ინდუსტრიის ტიპის მიხედვით მოწყობილი მუშაობის პროცესთა წარმატებისათვის ერთიანი ნებისყოფისადმი **სიტყვაშეუბრუნებელი დამორჩილება** უეჭველად აუცილებელია. ეს ორჯერ და სამჯერ უფრო აუცილებელია რკინიგზებისათვის“.

რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა ისტორიულ მიღებაზე კრემლში 1935 წლის 30 ივლისს ამხანაგი სტალინი ამბობდა: „რკინიგზის ტრანსპორტის გადამწყვეტი და ყოვლისმომცველი როლის რეალიზაციისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ყველა მისი ნაწილის შეწყობილი მოქმედება და მათი მუშაობა ზუსტად განსაზღვრული წესით. სწორედ ეს არის ის, რასაც ეწოდება დისციპლინა ტრანსპორტზე“.

იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ რკინიგზის ტრანსპორტის საათის კარგი მექანიზმივით აწყობილი და ზუსტი მუშაობა, უნდა გავაძლიეროთ მომთხოვნელობა მეთაურთა კადრებისადმი, გავაუმჯობესოთ რკინიგზელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდა რკინიგზელთა აღზრდა. ამ ამოცანების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნით რკინიგზის ტრანსპორტის პოლიტგანყოფილებებსა და პარტიულ ორგანიზაციებს. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული დებულება ტრანსპორტზე პოლიტიკურ განყოფილებათა შესახებ მოითხოვს იმას, რომ პოლიტგანყოფილებები სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად თვითეულ რკინიგზელს უნერგავდნენ მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას, მუშაობაში ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობას, აქტიურად უჭერდნენ მხარს და ავითარებდნენ ყოველივე ახალსა და მოწინავეს, უფრო ფართოდ აჩადებდნენ სოციალისტურ შეჯიბრებას.

ვიმეორებ, უნდა განვამტკიცოთ დისციპლინა უწინარეს ყოვლისა ხელმძღვანელ შემადგენლობაში. აქ ლაპარაკია უმთავრესად დისციპლინიანობის პირად მაგალითზე, ბრძანებათა და განკარგულებათა დროულად შესრულებაზე. თუ ტრანსპორტის მეთაურები დისციპლინიანობის ნიმუშებს აჩვენებენ გზათა მინისტრისა და გზის უფროსის ბრძანებათა და განკარგულებათა შესრულების საქმეში, მაშინ ტრანსპორტის ყველა მუშაკი მალე დაწინაურდება მუშაობაში. ამიერკავკასიის რკინიგზაზე დისციპლინის შესუსტება სწორედ ხელმძღვანელი შემადგენლობიდან დაიწყო. თუ ხელმძღვანელი მუშაკები ბრძანებებს არ ასრულებენ, უდისციპლინობას იჩენენ, მაშინ ძირეულ მუშაკთა ნაწილი მათგან იღებს მაგალითს და, ამის შედეგად, გზაზე დისციპლინა ირყევა.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა შრომის დისციპლინის დარღვევების მხრივ თბილისის განყოფილებაში. ფაქტები მეტყველებენ იმაზე, რომ აქ დარღვევები არ მცირდება.

ეს მოწმობს იმას, რომ თბილისის განყოფილების პოლიტგანყოფილება და პარტიული ორგანიზაციები სუსტად ეწევიან აღმზრდელობითს მუშობას საწარმოო კოლექტივებში. სამწუხაროდ, შრომის დისციპლინის დამრღვევთა შორის კომკავშირელები და კომუნისტებიც კი არიან.

სანამ ჩვენი პოლიტგანყოფილებები და პარტიული ორგანიზაციები არ მიაღწევენ იმას, რომ ყველა კომუნისტი და კომკავშირელი დისციპლინიანობის ნიმუშს წარმოადგენდეს, ჩვენ ტრანსპორტზე წესრიგი არ გვექნება. უნდა ავამაღლოთ კომუნისტთა ავანგარდული როლი. კომუნისტი მოვალეა მაგალითის მაჩვენებელი იყოს და თავისი მაგალითით წინ სწევდეს ყველა ჩამორჩენილ ამხანაგს. ჩვენს ტრანსპორტზე კომუნისტების დიდი უმრავლესობა კარგად მუშობს. მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმათ, ვინც მაგალითს არ იძლევა, ვინც შრომის დისციპლინას არღვევს. ყოველმა პარტიულმა ორგანიზაციამ დაუყოვნებლივ უნდა განიხილოს იმ კომუნისტთა საკითხი, რომლებიც დისციპლინას არღვევენ.

დისციპლინის განმტკიცების საფუძველზე ამიერკავკასიის რკინიგზის ყველა რგოლში, ყველა უბანზე გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს საწარმოო მაჩვენებლები. დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა ნიშნავს ჩავუნერგოთ რკინიგზელებს მაღალი სიფხიზლე, პასუხისმგებლობა ყველა ტექნიკური მოწყობილობის სრული წესივრობისათვის, ტრანსპორტის ყველა რგოლის უყალოო, უნაკლო, გამართული მუშაობისათვის. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული რკინიგზელი უაღრესი სიზუსტით იცავდეს ტრანსპორტზე არსებულ ინსტრუქციებს, ზედმიწევნით იცნობდეს და განუხრელად იცავდეს ტექნიკური ექსპლოატაციის წესებს, ტრანსპორტზე მუშაობის ორგანიზაციის ამ ძირითად კანონს. ამაში პირველხარისხოვანი როლი ეკუთვნით პოლიტგანყოფილებებს. მაგრამ პოლიტგანყოფილებათა ზოგიერთი ჩვენი მუშაკის უბედურება ის არის,—და ეს ყველაზე მეტად ეხება თბილისის განყოფილებას, — რომ ისინი ვერ განმსჭვალნენ მინდობილი საქმისათვის ბოლშევიკური პასუხისმგებლობის გრძნობით.

მტკიცედ უნდა შევითვისოთ, რომ პოლიტგანყოფილებები სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად პასუხისმგებელი არიან გეგმების შესრულებისათვის. მათ მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ ჩამორჩენილ უბნებს, არ დაუშვან გეგმების და დავალებების შეუსრულებლობა, განამტკიცონ დისციპლინა და ერთმმართველობა. არ შეიძლება არ ამჩნევდე იმას, რომ ბევრი საწარმო ტრანსპორტზე კვლავ არადამაკმაყოფილებლად მუშობს, ფუშავს მატარებლების მოძრაობას გრაფიკის მიხედვით, ვერ აღწევს იმას, რომ სრულდებოდეს უმნიშვნელოვანესი, სახალხო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვის დავალებანი. მაგრამ თბილისის განყოფილების პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხ. გეტაშვილმა, რომელიც აქ გამოვიდა, ვერ გამოიჩინა ვერც განყოფილების წინაშე მდგომი დიდი ამოცანების და ვერც მუშაობის მინდობილი უბნისათვის თავისი პასუხისმგებლობის გაგება. უფრო მეტიც, იგი ცდილობდა დაეფარა ნაკლოვანებანი: ლაპარაკობდა ნახევარი წლის შედეგებზე, მაგრამ არაფერი თქვა მეორე კვარტალში მუშაობაზე, როცა განყოფილებამ გეგმა ვერ შეასრულა. თითქოს საჭირო იყო მეორე კვარტალში უკეთ ემუშავნათ, მაგრამ აქ არათუ არ გააუმჯობესეს მუშაობის მაჩვენებლები, არამედ ტექნიკური ექსპლოატაციის წესების დარღვევათა რიცხვის გადიდებაც დაუშვეს.

ამ დარღვევათა უმრავლესობა სწორედ თბილისის განყოფილებაზე მოდის. როგორ შეიძლება არ შეამჩნიო ყოველივე ეს! აქ გამოსული ამხანაგები ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ წელს შრომის დისციპლინის დარღვევის, ავარიების რიცხვი შარშანდელთან შედარებით შემცირდა. თავს რომ იმშვიდებთ, გავიწყდებათ, რომ წლის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ წინ არის და თუ დაუყოვნებლივ არ იქნა მიღებული გადამწყვეტი ზომები, საქმე შეიძლება კიდევ უფრო გაუარესდეს.

გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს აგრეთვე პარტიის წესდების დარღვევაზე. თუ თბილისის განყოფილების აპარატის პირველადი პარტორგანიზაციის კრებაზე იღებენ სადირექტივო გადაწყვეტილებებს, რომლებშიც მიცემულია განკარგულება, თუ რა აკეთოს განყოფილებამ, ეს იმას ნიშნავს, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის პოლიტგანყოფილების უფროსმა ცუდად იცის პარტიის წესდება, არ იცნობს პარტიის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს რკინიგზის ტრანსპორტის შესახებ, ერთმანეთისაგან ვერ არჩევს ქარხნის თუ ფაბრიკის პირველადი პარტორგანიზაციის ფუნქციებსა და დაწესებულებების პირველადი პარტორგანიზაციის ფუნქციებს, არ იცის, რომ დაწესებულების პირველადს პარტორგანიზაციას არა აქვს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება. ყოველივე ეს პარტიული მუშაობის არასაკმაო ცოდნის შედეგია.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ პოლიტიკური მუშაობა უნდა შეეხამოთ სამეურნეო მუშაობასთან. პოლიტიკა და მეურნეობა განუყოფელია, ისინი ერთად არსებობენ და მოქმედებენ. ამხანაგი სტალინი გვაფრთხილებდა, რომ ვინც ფიქრობს ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში ჩამოაშოროს მეურნეობა პოლიტიკას, გააძლიეროს სამეურნეო მუშაობა პოლიტიკური მუშაობის შესუსტების ფასად ან, პირიქით, გააძლიეროს პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო მუშაობის შესუსტების ფასად, — ის აუცილებლად ჩიხში ექცევა. სწორედ ასე მოუვიდა ამხ. გეტაშვილს. მან ვერაფერი ვერ გვითხრა იმაზე, თუ როგორ ახამებს პოლიტგანყოფილება პოლიტიკურ მუშაობას სამეურნეო მუშაობასთან, როგორ რაზმავს კომუნისტებს განყოფილების მუშაობის გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად. მის გამოსვლაში ჩვენ ვერაფერი მოვისმინეთ იმის შესახებ, თუ რას აკეთებს პოლიტგანყოფილება პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებლად. მან სრული დუმილით აუარა გვერდი მექრთამეობასთან და სახელმწიფო სახსრების მითვისებასთან ბრძოლის საკითხსაც. ხოლო სწორედ ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა თბილისის განყოფილებაში. მართალია, აქ ბევრ თათბირს მართავენ მექრთამეობისა და სახელმწიფო სახსრების მითვისების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, მაგრამ, როგორც ვატყობ, საქმე ამით წინ ვერ მიდის. მთავარია მუშაობის შედეგები და არა თათბირების რაოდენობა. თქვენ გგონიათ, ამხ. გეტაშვილო, რომ საკითხს თათბირების რაოდენობა წყვეტს? რაოდენობაში როდია საქმე. შეიძლება ერთი თათბირი მოაწყო, მაგრამ ისე, რომ ჯარგი შედეგი გქონდეს, და, პირიქით, — შეიძლება მოაწყო ასობით ცუდი, უსარგებლო და ზედმეტი თათბირი. როგორც ჩანს, ამხ. გეტაშვილი ვერ განიმსჭვალა მინდობილი საქმისათვის, გეგმის შესრულებისათვის, განყოფილების სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებისათვის თავისი პასუხისმგებლობის შეგნებით. ამან გამოიწვია მასებში აღმზრდელობითი მუშაობის შესუსტება, დისციპლინის მრავალი დარღვევა, განსაკუთრებით ღამის ცვლებში, ავარიებისა და მუშაობაში წუნის ზრდა. სრულიად უეჭველია, რომ თბილისის პოლიტგანყოფილებაში მოსწყდნენ ნამდვილ საქმეს, არ აუმჯობესებენ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას, ურიგდებიან იმას, რომ განყოფილება ჩამორჩენილია, რომ მას გზაზე უკანასკნელი ადგილი უჭირავს.

უნდა ვთქვა, რომ განყოფილებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი და გზის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები ერთმმართველობის პრინციპების საკმაო გაგებას ვერ იჩენენ. როცა ესა თუ ის საკითხი ან ესა თუ ის ბრძანება მზადდება, განყოფილების უფროსი აუცილებლად უნდა მოეთათბიროს პოლიტგანყოფილების უფროსს და გაითვალისწინოს მისი აზრი, გაითვალისწინოს მასების გამოცდილება. ბრძანების ასეთი წინასწარი მომზადების შემდეგ, მას შემდეგ რაც ბრძანება ხელმოწერილია, ის განუხრელად უნდა სრულდებოდეს და ხორციელდებოდეს ერთმმართველობის წესით. პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა დარაზმონ მასები ერთმმართველთა ბრძანებებისა და განკარგულებების შესასრულებლად. ხოლო თუ ბრძანება გამოიცა გულდასმით მოუმზადებლად, ან პოლიტგანყოფილების აზრისა და მასების გამოცდილების გაუთვალისწინებლად, მან შეიძლება „მარცხი“ განიცადოს, რკინიგზელების ენით რომ ვთქვათ.

საჭიროა ყოველმხრივ განვამტკიცოთ ერთმმართველობა ტრანსპორტზე. ვინც თუნდაც ოდნავ ხელს უწყობს ერთმმართველობისათვის ძირის გამოთხრას, ის არყევს დისციპლინას, აკეთებს საბჭოთა სახელმწიფოს მტრების საქმეს.

თუ პოლიტგანყოფილების უფროსი პასუხისმგებლობას გრძნობს განყოფილების მუშაობისათვის, იგი ყოველთვის დაუჭერს მხარს მტკიცე ნებისყოფის სამეურნეო ხელმძღვანელს. ხოლო თუ პასუხისმგებლობის ეს გრძნობა არა აქვს, მაშინ პოლიტგანყოფილების ასეთი უფროსი თავისი მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგას.

სწორედ ეს პასუხისმგებლობა, მუშაობაში შეთანხმებულობა, ურთიერთგაგება არა აქვთ არც თბილისის პოლიტგანყოფილების უფროსს ამხ. გეტაშვილს და არც გზის განყოფილების უფროსს ამხ. ბერიძეს.

მე ვფიქრობ, რომ დღეს აქ უნდა გავაფრთხილოთ ამხ. ბერიძეც და ამხ. გეტაშვილიც, რომ თუ მათ არ გარდაქმნეს მუშაობა, თუ არ უზრუნველყვეს სათანადო შეთანხმებულობა მუშაობაში, მაშინ ისინი განყოფილების ხელმძღვანელებად ვერ გამოდგებიან.

მეტისმეტად უცნაურად ისმის ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსის ამხ. ბერიძის განცხადება, როცა იგი გეგმების შეუსრულებლობას იმით ამართლებს, რომ განყოფილება დიდიაო. მაგრამ თუ განყოფილება დიდია, ადამიანები და ტექნიკაც ხომ აქ უფრო მეტია; თანაც განყოფილება თბილისშია, გზის პოლიტგანყოფილებისა და სამმართველოს გვერდით. როგორც ვხედავთ, ამ განყოფილებას მთელი რიგი უპირატესობები აქვს სხვებთან შედარებით. რაღაა კიდევ საჭირო? საჭიროა მუშაობა. საქმე ის კი არ არის, რომ განყოფილება დიდია, არამედ ის, რომ ამხ. ბერიძე და გეტაშვილი ცუდად მუშაობენ, და მათ საფუძვლიანად უნდა გამოასწორონ საქმე.

განყოფილებათა მუშაკები იშვიათად დადიან ადგილებზე, არ იციან, როგორი მდგომარეობაა იქ, და ზოგჯერ ისეთ გადაწყვეტილებებს იღებენ, რომლებიც საქმის ნამდვილ ვითარებას ვერ ასახავენ.

განა ამით არ აიხსნება ისეთი სამარცხვინო ფაქტი, რომ სამტრედიის განყოფილების უფროსის მოადგილემ ამხ. შეყრილაძემ ერთი ბრძანებით 52 კაცი დასაჯა, ან როცა თბილისის განყოფილების უფროსმა ამხ. ბერიძემ თავისი ბრძანებით განკარგულება გასცა სამართალში მიეცათ 21 კაცი; აქვე უნდა ვთქვათ, რომ როცა სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებმა საქმეები განიხილეს, გამოარკვიეს, რომ სამართალში მიცემულთა უმრავლესობა უდანაშაულოა.

ასე არ შეიძლება, ამხანაგებო!

აქ სწორად თქვეს ისიც, რომ გზის უფროსი და განყოფილებათა უფროსები მეტისმეტად ბევრ ბრძანებას წერენ. უნდა გავერკვევი, რატომ ხდება ეს. ეს იმის შედეგია, რომ ერთსა და იმავე საკითხზე ბევრი ბრძანება იწერება. ყოველ ახალ ბრძანებაში აღინიშნება წინა ბრძანების შეუსრულებლობა... აშკარაა, საქმე ის არის, რომ აქ ჩვენი პარტიის მოთხოვნას არ ასრულებენ, რომ დაეწყვებას მისცეს ლენინისა და სტალინის მითითებანი იმის შესახებ, რომ ორგანიზაციული ხელმძღვანელობის საფუძველია შესრულების შემოწმება და კადრების სწორად განაწილება.

1951 წელს მარტო გზის სამმართველოში გამოიცა 900-ზე მეტი ბრძანება და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში — 500-ზე მეტი. ცუდად არის დაყენებული კონტროლი ამ ბრძანებათა შესრულებისადმი. უკანასკნელ სამ წელიწადში, მაგალითად, არაერთხელ გამოიცა ბრძანებანი გზაზე შრომის დაცვისა და უსაშიშრობის ტექნიკის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, მაგრამ ბევრი სამეურნეო ხელმძღვანელი ამ ბრძანებებს დღემდეც არ ასრულებს. ზაფხულში მგზავრთა გადაყვანისათვის თავის დროზე მომზადების მიზნით მიმდინარე წლის იანვარ-ივნისის განმავლობაში გზის სამმართველომ გამოსცა 5 ბრძანება, და ყოველ შემდგომ ბრძანებაში აღნიშნული იყო წინა ბრძანებათა მთელი რიგი პუნქტების შეუსრულებლობა. ამრიგად, გზის სამმართველო თავის საკუთარ ბრძანებათა შესრულებას ვერ უზრუნველყოფს. უფრო მეტიც, ზოგიერთი ხელმძღვანელი საეჭვოდ ხდის ბრძანებებს, წინააღმდეგობას უწევს მათს შესრულებას. აღმაშფოთებელი შემთხვევა დაუშვა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მუშაკმა, ამხ. თავაძემ. იგი შეეცადა მფარველობა გაეწია სამუშაოთა მწარმოებელ შ. ორჯონიკიძისათვის, რომელიც სამართლიანად იყო მიცემული პასუხისგებაში. ამხ. თავაძე სპეციალურად გამოცხადდა სასამართლოში იმისათვის, რომ, როგორც თვითონ განაცხადა, „გაენადგურებინა გზის უფროსის ბრძანება“.

პოლიტგანყოფილებები ჯერეროვან ბრძოლას არ ეწევიან ასეთი მოვლენების წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ გზის ხელმძღვანელობაც, პირველ რიგში გზის უფროსი ამხ. კიკნაძე, ბევრ შემთხვევაში ვერ იჩენს ჯეროვან, მეთაურის შესაფერ სიმტკიცეს.

თუ კაცმა ერთხელ არ შეასრულა ბრძანება, უნდა გაერკვე, რატომ მოხდა ეს და გაფრთხილება მისცე მუშაკს, თუ მეორედ არ შეასრულა, — დასაჯე დამნაშავე, ამასთან ზუსტად იხელმძღვანელე დისციპლინარული წესდებით. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ არასოდეს არ უნდა გასცე ისეთი ბრძანება, რომლის შესრულებაც არ შეიძლება.

რაკი ბრძანება გაეცი, დაადგინე შესრულების ვადა, — თვალყური ადევნე იმას, თუ როგორ მუშაობენ ადამიანები, შეამოწმე მიცემული დავალება. ნაგრამ თუ ყველა ვადა გავიდა და, მიუხედავად დახმარებისა და კონტროლისა, რეალურად არაფერი გაკეთებულა, ბრძანება არ შესრულებულა,— მაშინ ამაში დამნაშავე მუშაკი უნდა მოხსნა პოსტიდან. და უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, საჭირო აღარ იქნება ათი ბრძანების გამოცემა ერთსა და იმავე საკითხზე.

ბრძანებათა სიუხვე, მით უმეტეს ერთი ტიპის ბრძანებებისა — დიდი ბოროტებაა. თუ კაცი კეთილსინდისიერად ეკიდება ბრძანებათა შესრულებას, პირველ რიგში ყველა ბრძანება უნდა წაიკითხოს. ხოლო თუ გზის უფროსი წელიწადში 900 ბრძანებას იძლევა, განყოფილების უფროსი კი 400-ს, წარმოიდგინეთ იმ კაცის მდგომარეობა, რომელმაც არა მარტო უნდა წაიკითხოს, არამედ კიდევაც უნდა შეასრულოს ეს ბრძანებები. ჯერ უნდა წაიკითხოს, მერმე თვითონაც დაწეროს ბრძანება, ვინმეს გამოუძახოს. და შედეგად ის გამოდის, რომ ადამიანები მხოლოდ იმით არიან გართულნი, რომ ბრძანებებს კითხულობენ და წერენ და ამასთან დაკავშირებით წამდაუწუმ იძახიენ ადამიანებს.

მაქსიმალურად უნდა შეკამციროთ ბრძანებათა წერა.

ამასთან ძალიან გულისხმიერნი უნდა ვიყოთ ადამიანებისადმი და არ დაკუშვათ შიშველი ადმინისტრირება. დამნაშავენი უნდა დავსაჯოთ, და მაგრადაც დავსაჯოთ, მაგრამ არ უნდა გაკეთდეს ეს ადამიანთა ტანჯვა. ეს ეკუთვნის ადამიანთა ღირსებას. ეს ეკუთვნის ადამიანთა ინტერესებს. ეს ეკუთვნის ადამიანთა ბედნიერებას. ეს ეკუთვნის ადამიანთა ბედნიერებას. ეს ეკუთვნის ადამიანთა ბედნიერებას

ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილებათა მუშაკებისა და სამეურნეო ხელმძღვანელების თათბირი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საბჭოთა კავშირის რკინიგზელებმა თავიანთი ტრადიციული დღესასწაულის დღეს საბჭოთა ხალხის დიდი ბელადისა და მასწავლებლის — ამხანაგ სტალინისთვის გაგზავნილი წერილით ახალი, მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს.

ამ პატრიოტულ დოკუმენტში არის ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივის ვალდებულებებიც, რომლებიც ითვალისწინებენ 1952 წლის გეგმის ვადამდე შესრულებას ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განხორციელება, ახალი დიდი ამოცანების შესრულება მოითხოვს გზის ყველა რგოლში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გადამწყვეტ გარდაქმნას, ძირეულ გაუმჯობესებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამ დღეებში მოიწვია თათბირი ამიერკავკასიის რკინიგზაზე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე. თათბირში მონაწილეობა მიიღეს გზის პოლიტგანყოფილებათა ხელმძღვანელმა მუშაკებმა და გზისა და სამშენებლო ორგანიზაციების სამეურნეო ხელმძღვანელებმა.

თათბირი გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. მგელაძემ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სატრანსპორტო განყოფილების გამგემ ამხ. გ. ვარდოსანიძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გზის, მისი სამეურნეო ხელმძღვანელობისა და პოლიტგანყოფილებათა მუშაობაში ბევრია დიდი ნაკლი და შეცდომა.

ამიერკავკასიის რკინიგზის ჩამორჩენა, მისი საქმიანობის სერიოზული ნაკლოვანებანი პირდაპირი შედეგია მუშაობის მანკიერი სტილისა, რომელსაც ნერგავდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობა. გზაზე გაბატონებული იყო პარადული კეთილდღეობისა და ობივატელური უდარდელობის ვითარება. გზის სამეურნეო ხელმძღვანელებმა და პოლიტგანყოფილებებმა დღემდე ვერ მოახერხეს უზრუნველყოთ მუშაობის გარდაქმნა ახალი ამოცანებისა და მოთხოვნების შესაბამისად. გზაზე არ წარმოებს გადამწყვეტი ბრძოლა დისციპლინის განმტკიცებისათვის და ტექნიკური ექსპლოატაციის წესების ზუსტად დაცვისათვის.

მთელი რიგი სამშენებლო ობიექტები სისტემატურად არ ასრულებენ კაპიტალურ სამუშაოთა გეგმას. მშენებლობის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. მშენებლობებზე დიდია მუშათა დენადობა.

უდიდესმა მუშაობამ, რაც უკანასკნელ დროს საქართველოში გაჩაღდა საბჭოთა კანონიერების დარღვევებთან ბრძოლაში, ჯეროვანი გაქანება და სიმახვილე ვერ ჰპოვა ამიერკავკასიის რკინიგზაზე. აქ ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის გაფლანგვები და მტაცებლობა, არ წარმოებს მტკიცე ბრძოლა მგზავრთა უბილეთოდ გადაყვანის წინააღმდეგ. დიდი გაფლანგვები გამოაშკარავდა გზის მუშათა მომარაგების სამმართველოს სისტემაში.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო სერიოზულ ნაკლოვანებებს სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში. უკანასკნელ დროს ხუთასოვან მემანქანეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა: 1951 წლის აპრილში იყო 111 ხუთასოვანი, 1952 წლის აპრილში—63, ხოლო მომდინარე წლის 1 ივლისისათვის—58.

პოლიტიკური განყოფილებები და პარტიული ორგანიზაციები ცუდად ხელმძღვანელობდნენ მარქსისტულ-ლენინურ სწავლებას. გზაზე სრულიად არასაკმაოა იმ კომუნისტთა რიცხვი, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ ბოლშევიზმის ისტორიასა და თეორიას. წრეებში დაბალია მეცადინეობის იდეური დონე.

სერიოზული ნაკლოვანებები აქვს მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, განსაკუთრებით ღამის ცვლაში. კლუბების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების საქმიანობაში ბევრი კაზიონურობა და ფორმალიზმია. სუსტად წარმოებს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდობაში. კომკავშირული ორგანიზაციები ყოველთვის როდი ხდიან თავიანთი მსჯელობის საგნად კომკავშირელთა დისციპლინარული დანაშაულის ფაქტებს, არ იღებენ ზომებს მათი თავიდან აცილებისათვის.

გზის პოლიტგანყოფილება და განყოფილებათა პოლიტგანყოფილებანი ცუდად არიან დაკავშირებულნი პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან და რკინიგზელთა მასასთან. პოლიტგანყოფილებათა ხელმძღვანელები ძალიან იშვიათად აკეთებენ პოლიტიკურ მოხსენებებს რკინიგზელებისათვის. მათს მუშაობაში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ხელმძღვანელობის ბიუროკრატიული მეთოდები. მაგალითად, მიმდინარე წლის ივლისის პირველ რიცხვებში სამტრედიას ჩავიდა გზის პოლიტგანყოფილების ბრიგადა, აღმოაჩინა ბევრი ნაკლი, შეკრიბა მასალები და თბილისს დაბრუნდა. საქმე მხოლოდ ამით ამოიწურა. კომისიის დასკვნები, ამ დასკვნების მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებანი სამტრედიაში არ იციან. გზის პოლიტგანყოფილება ცოცხალ ხელმძღვანელობას ხშირად ცვლის მრავალი თათბირის მოწვევით.

გამოსვლებში, რაც მოხსენებას მოჰყვა, გამოვლინებულ იქნა ბევრი სერიოზული ნაკლი ამიერკავკასიის რკინიგზისა და მის პოლიტგანყოფილებათა მუშაობაში.

ყველაზე დიდი ნაკლია ის, რომ ძლიერ ჩამორჩენილია თბილისის განყოფილება. მეორე კვარტალში განყოფილების კოლექტივმა გეგმა ვერ შეასრულა, მუშაობა გააუარესა. აქ დიდია დისციპლინის დარღვევათა რიცხვი, ირღვევა ტექნიკური ექსპლოატაციის წესები, არ სრულდება ლოკომოტივების საშუალო სადღეღამისო გარბენის ნორმები, ორთქლმავალთა ბრიგადების მნიშვნელოვანი ნაწილი არარენტაბელურად მუშაობს. ეს იმას იწვევს, რომ მოწინავეების მიერ გაწეულ ეკონომიას ხშირად აქარწყლებენ ზარალით მომუშავე ბრიგადები.

თათბირზე გამოსული თბილისის განყოფილების პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. ი. გეტაშვილი, ნაცვლად იმისა, რომ გამოეჩინა ეს ნაკლოვანებანი, შეეცადა შეექმნა კეთილდღეობის შთაბეჭდილება, რისთვისაც იყენებდა ნახევარი წლის შედეგების საშუალო ციფრებს. იგი ლაპარაკობდა განყოფილებაში მოწყობილი მრავალი თათბირის შესახებ, მაგრამ არსებითად ვერაფერი თქვა იმაზე, თუ როგორ არიან მობილიზებულნი განყოფილების კომუნისტები და ყველა რკინიგზელი მუშაობაში არსებულ დიდ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის საბრძოლველად. მან სრული დუმილით აუარა გვერდი მექრთამეობასთან, მგზავრთა უბილეთოდ გადაყვანასთან, მტაცებლობასთან ბრძოლის საკითხებს.

როგორც მართებულად აღნიშნავდნენ თათბირის მონაწილენი, ყველა ეს ნაკლი იმის შედეგია, რომ განყოფილებაში უყურადღებოდ არის მიტოვებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, რომ პოლიტგანყოფილება ვერ ახერხებს შეახამოს პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო მუშაობასთან.

თბილისის განყოფილების უფროსის ამხ. დ. ბერიძის გამოსვლამ შეავსო განყოფილების მუშაობაში არსებულ დიდ ნაკლოვანებათა სურათი. მან სცადა აეხსნა ჩამორჩენა ობიექტური მიზეზებით, უჩიოდა იმას, რომ განყოფილებას დიდი სივრცე უჭირავს. მაგრამ ამ ცდას, რა თქმა უნდა, წარმატება არ მოჰყოლია.

უკეთესი მდგომარეობა არც სამტრედიის განყოფილებაშია. აქაც ბევრია ნაკლი, რამაც გაკვლა მოახდინა საგეგმო დავალებათა შესრულებაზე.

პოლიტგანყოფილება რომ სუსტად მუშაობს, რომ იგი ნაკლებად იცნობს საქმის ვითარებას, ეს გამოირკვა პოლიტგანყოფილების უფროსის ამხ. ი. მგელაძის გამოსვლითაც. მან თათბირს ვერ წარუდგინა საჭირო ცნობები განყოფილების მუშაობის შესახებ. განყოფილების მეთაურთა ერთი ნაწილის უპასუხისმგებლობას და, მაშასადამე, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სისუსტეს მოწმობს იმათდამი ლიბერალური მოპყრობის ფაქტები, ვინც ბრძანებებს არ ასრულებს.

სამტრედიის განყოფილების უფროსმა ამხ. ე. მაცაბერიძემ აღიარა, რომ განყოფილებამ უკანასკნელ დროს გააუარესა მუშაობა. აქ არ წარმოებს შეურიგებელი ბრძოლა დისციპლინის განმტკიცებისათვის, საბჭოთა კანონიერების უმკაცრესად დაცვისათვის.

მუშაობის დადებითს გამოცდილებაზე, რაც გზის სუხუმის განყოფილების კოლექტივმა მოიპოვა აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, ილაპარაკეს პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხ. გ. თევზაძემ და განყოფილების უფროსმა ამხ. ვ. გუჯაბიძემ.

თავიანთ გამოსვლებში თათბირზე რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხ. ნ. გაბუნიამ, გზის უფროსმა ამხ. გ. კიკნაძემ, გზის უფროსის მოადგილემ ამხ. დ. ტაბატაძემ აღნიშნეს თათბირის დიდი მნიშვნელობა. თათბირმა გამოამჟღავნა დიდი ნაკლოვანებანი გზის, მისი სამეურნეო ხელმძღვანელობისა და პოლიტორგანოების მუშაობაში. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობა არ აწყობდა ასეთ თათბირებს, არ სწვდებოდა ტრანსპორტის მუშაობას, მან დაიგიწყა შესანიშნავი ტრადიციები, რომლებსაც ნერგავდა ამხანაგი ლ. პ. ბერია იმ წლებში, როცა იგი ხელმძღვანელობდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკებს.

გზის სამმართველოს და პოლიტგანყოფილების ხელმძღვანელებმა აღიარეს თავიანთი შეცდომები, განაცხადეს, რომ არ ეწეოდნენ თანმიმდევრულ მუშაობას დისციპლინისა და საბჭოთა კანონიერების უსასტიკესად დაცვის სულისკვეთებით რკინიგზელთა აღზრდის საქმეში, რამაც გამოიწვია გზის ჩამორჩენა და ნაკლოვანებანი მისი კადრების პრაქტიკულ საქმიანობაში. მათ ილაპარაკეს გზის მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებათა და შეცდომათა აღმოფხვრის ღონისძიებებზე.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა ამხ. ა. მგელაძემ.

• • •

თათბირმა გამოჰყო კომისია ამიერკავკასიის რკინიგზაზე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების მიზნით პრაქტიკულ ღონისძიებათა შესამუშავებლად.

ავიცენას დაბადების 1000 წლისთავისათვის

ერეკენული ეროვნული

დიდი მეცნიერი-ენციკლოპედისტი

აკადემიკოსი ე. ნ. პავლოვსკი

ტაჯიკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი

საბჭოთა ხალხი მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად წელს აღნიშნავს გენიალური მეცნიერ-ენციკლოპედისტის, შესანიშნავი ექიმისა და დიდი მოაზროვნის აბუ ალი იბნ-სინას დაბადების 1000 წლისთავს. აბუ ალი იბნ-სინა ევროპაში ცნობილი გახდა ავიცენას სახელით.

ავიცენას შემოქმედება ეკუთვნის იმ პერიოდს, როცა შუა აზიის ხალხთა კულტურამ მაღალ განვითარებას მიაღწია. ეს იყო რუდაკის, დაკიკის, ფირდოუსის კლასიკური პოეზიის აყვავების ეპოქა. ბუხარა-სამანიდების დინასტიის სახელმწიფოს დედაქალაქი, რომელიც არაბ დამპყრობთა ჩაგვრისაგან განთავისუფლდა,—შუა აზიის კულტურის ცენტრი გახდა. შუა აზიის ხალხთა ისტორიას მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეების — ისტორიკოსების, მათემატიკოსების, ასტრონომების ცოტა სახელი როდი შეუნახავს, რომელნიც ამ ეპოქაში ეწეოდნენ შემოქმედებას.

ავიცენას ბიოგრაფია, რომელიც ჩაწერილია მისი სიტყვებით, გვაოცებს დრამატიზმით. მისი ბავშვობა მიმდინარეობდა ტაჯიკურ სოფელში ბუხარის მახლობლად. მამამისი გადასახადთა ამკრეფი მოხელე იყო, რომელიც აფასებდა ცოდნას და, როგორც ჩანს, შეძლებული იყო, რადგან მოახვრხა შვილისათვის ყოველმხრივი, ენციკლოპედიური განათლება მიეცა. ათი წლის ბავშვმა შეითვისა არაბული ენა, რომლითაც სარგებლობდა შუა აზიის მეცნიერება, და საფუძვლიანად შეისწავლა ყურანი — მუსლიმანური აღმოსავლეთის საღვთო წიგნი. ბუხარის საუკეთესო მეცნიერთა ხელმძღვანელობით მოზარდი იბნ-სინა სწავლობდა გრამატიკას, სტილისტიკას და სიტყვიერების თეორიის სხვა მეცნიერებას, აგრეთვე მათემატიკასა და კანონთმცოდნეობას. მოზარდი იბნ-სინა განსაკუთრებული ბეჯითობით სწავლობდა ფილოსოფიას თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი ფილოსოფოსის ხელმძღვანელობით. ნიჭიერი ჭაბუკი ეუფლება გეომეტრიის საფუძვლებს ევკლიდის შრომებით, ასტრონომიას — პტოლომეუსის შრომებით. მაგრამ ყველაზე მეტად და ყველაზე ღრმად იგი სწავლობს მედიცინას.

მედიცინის ცოდნის შემოქმედებითმა დაუფლებამ და, ცხადია, საკუთარმა დაკვირვებამ და გამოცდილებამ შესაძლებლობა მისცეს თექვსმეტი წლის ჭაბუკს თავისი ძალა ავადმყოფთა მკურნალობაში ეცადნა. დიდი მკურნალის სახელს იხვეჭს ახალგაზრდა ექიმი. ამბავი, რომელმაც ჭაბუკ ექიმს ცოდნის ახალი დაგროვების გზა გაუხსნა, იყო სამანიდების სახელმწიფოს მმართველის ემირ ნუხა იბნ-მანსურის წარმატებითი მკურნალობა. სასახლის კარის ექიმის პრაქტიკამ შესაძლებლობა მისცა იბნ-სინას მისწვდომოდა ემირის უდიდეს წიგნთსაცავს. იბნ-სინას გასაოცარმა მეხსიერებამ სიცოცხლის ბოლომდე შეუნარჩუნა მას შეძენილი ცოდნა.

მაგრამ დასრულდა სამანიდების მეფობა. კარახანიდის თურქებმა დაამხეს სამანიდების დინასტია. იბნ-სინასთვის დადგა ხეტიალის წლები.

ახალგაზრდა მეცნიერმა მიატოვა ბუხარა და გადავიდა ურგენჩს—ხორეზმის დედაქალაქში. აქ ვითარება ხელსაყრელი იყო მეცნიერის შემდგომი ზრდისათვის, რადგან ხორეზმშაჰის სასახლესთან შეიკრიბნენ შუა აზიის მეცნიერების მთელი რიგი უდიდესი მოღვაწეები, მათ შორის სახელგანთქმული ბირუნი. ორი დიდი მეცნიერის შემოქმედებითი ურთიერთობა აღინიშნა იბნ-სინას მთელი რიგი პოლემიკური ნაწარმოებებით, რომელთაგან შემონახულია წერილი, რომელიც შეიცავს მეცნიერების სხვადასხვა დარგის თექვსმეტი კითხვის პასუხს.

დიდხანს არ მოუხდა მას ხორეზმშაჰის კარზე დარჩენა. კარახანიდის სულთანმა მაჰმუდმა, რომელსაც სურდა ბრწყინვალება მიეცა თავისი სასახლისათვის, ხორეზმშაჰს მოსთხოვა, რათა მეცნიერები, მათ შორის იბნ-სინაც, მის დედაქალაქში გადასულიყვნენ.

ამ „მიწვევის“ პასუხი იყო იბნ-სინას გაქცევა დასავლეთისაკენ, კასპიის ზღვის ნაპირებისაკენ. იბნ-სინას ცხოვრების მთელი შემდგომი წლები კასპიისპირა ქვეყნებში, მხარიდან მხარეში, შუა აზიის ფეოდალური სახელმწიფოების ხანმოკლე მმართველთა სასახლიდან სასახლეში ხეტიალის წლებია. დიდი გაჭირვებით არის აღსავსე ეს მოხეტიალე ცხოვრება. იბნ-სინას არაერთგზის მოხდომია დამალვა თავისი მტრის სულთან მაჰმუდის დევნისაგან. იგი საპატიმროშიც კი იჯდა, განიცდიდა თავისი ფეოდალი მფარველების გულისწყრომას და მათ შორდებოდა მათხოვარა დერვიშის ტანისამოსით, განიცდიდა თავისი მეცნიერული ნაშრომების დადუპვის ტრაგედიას.

მაგრამ მთელმა გადატანილმა გაჭირვებამ ვერ გატეხა დიდი მეცნიერის ენერგია. იბნ-სინას ცხოვრება აღსავსეა ჭეშმარიტად ტიტანური შრომით. მისი ნაყოფიერება გასაოცარია. ბევრი თავისი ნაშრომი მას ისე დაუწერია, რომ ხელთ არა ჰქონია არავითარი წყარო, მაგალითად, საპყრობილეში ყოფნისას ან არალეგალურად ცხოვრების დროს. ეს აიხსნებოდა მეცნიერის განსაკუთრებული მეხსიერებით, მისი უდიდესი ერუდიციითა და დიდი შემოქმედებითი წარმოდგენით. შემონახულია ამბავი, რომ თავისი შესანიშნავი ფილოსოფიური ენციკლოპედია — „განკურნების წიგნი“ — მან ისე დაწერა, რომ არავითარი წყარო არ გამოუყენებია, ათობით გვერდს წერდა ერთ დამეში. ამ დიდმა ენციკლოპედისტმა შეითვისა თავისი ეპოქის მთელი მეცნიერული სიბრძნე. ტყუილად როდი ჰქონდა ევროპაში მას გავარდნილი ახალი არისტოტელის სახელი. აღმოსავლეთში მას უწოდებდნენ აშ-შეიხ არ-რაისს—მეცნიერთა ბელადს, მეთაურს. ეს ტიტული აღმოსავლეთის ავტორების თხზულებებში ხშირად ცვლიდა იბნ-სინას საკუთარ სახელს.

იგი მეტ წილად წერდა არაბულ ენაზე, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებში საერთაშორისო ენა იყო. მთელი რიგი წიგნები მან დაწერა მშობლიურ ტაჯიკურ ენაზე—დარიზე.

იბნ-სინას შემოქმედებითი მოღვაწეობა 35 წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა. მას მსოფლიო სახელი მოუხვეჭა კლასიკურმა თხზულებამ „მედიცინის კანონმა“. ეს შესანიშნავი შრომა განაზოგადებს ძველი ბერძნული, ძველი რომაული, ირანული და ინდური მედიცინის ყველა მიღწევას და ახალ საფეხურზე აჰყავს იგი. ანტიკური საექიმო მეცნიერების გამოჩენილი წარმომადგენლების — ჰიპოკრატეს და გალენის—იდეებს იბნ-სინა შემოქმედებითად ამდიდრებს თავისი პრაქტიკული მოღვაწეობის გამოცდილებით. „მედიცინის კანონის“ ხუთი ტომი შეიცავს: ადამიანის სხეულის აგებულების აღწერას, სხვადასხვა სენის, მათი მიზეზებისა და ნიშნების ცნებებს, ჯანმრთელი ცხოვრების მოძღვრებას, სნეულებათა მკურნალობის ზოგად პრინციპებს, ბუნებრივ სამკურნალო ხამუალებათა და ექიმების დამზადებულ ხელოვნურ სამკურნალო საშუალებათა აღწერას. „მედიცინის კანონში“ მოცემულია ზედმიწევნითი აღწერა მრავალი სნეულებისა, რომელიც ადამიანს ემართება, და დასაბუთებულია მათი მკურნალობის საშუალებები. ამავე დროს ამ შესანიშნავ შრომაში საფუძველი აქვს ჩაყრილი პროფილაქტიკურ მედიცინას — მეცნიერებას, რომლითაც შეიძლება თავიდან ავიცილოთ ავადმყოფობა.

იბნ-სინა გვასწავლის რეჟიმს, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ ადამიანმა შეინარჩუნოს და განიმტკიცოს ჯანმრთელობა მთელი სიცოცხლის მანძილზე. იგი დიდ ყურადღებას აქცევს ჯანმრთელობის ისეთ პირობებს, როგორიცაა სადი საჭმელი, სხეულისა და ბინის სისუფთავე, ფიზიკური ვარჯიშობა. იგი დაწვრილებით არჩევს, თუ რა გავლენას ახდენს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ისეთი ვარჯიშობა, როგორიცაა ჭიდაობა, ჩქარი სიარული, ცხენოსნობა.

„მედიცინის კანონი“ მედიცინის მეცნიერებათა ნამდვილი ენციკლოპედიაა. იგი განაზოგადებს ანატომიის, ფიზიოლოგიის, პათოლოგიის, თერაპიის, ფარმაკოლოგიისა და ჰიგიენის დარგში კაცობრიობის მიერ იმდროინდელობისათვის შეძენილ ცოდნას და ახალ საფეხურზე აჰყავს იგი. ამასთანავე „მედიცინის კანონის“ მრავალი განყოფილების მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ მედიცინის მეცნიერებათა დარგში იბნ-სინას მიღწევები მისი პირადი გამოკვლევისა და სამკურნალო გამოცდილების შედეგია. საკმარისია აღვნიშნოთ, მაგალითად, მის მიერ თვალის კუნთების აღწერა, რაც შეუძლებელი იქნებოდა სპეციალური ანატომიური გამოკვლევის შეუსრულებლად.

„მედიცინის კანონს“ ახლაც იყენებენ აღმოსავლეთის ქვეყნებში. იგი დაწერილია არაბულ ენაზე. ავიცენას გარდაცვალების ასი წლის შემდეგ ითარგმნა ლათინურ ენაზე. ხელიდან ხელში გადადიოდა მრავალი ხელნაწერი პირი. ამ შესანიშნავი სამეცნიერო შრომის პირველი ნაბეჭდი გამოცემა გამოვიდა ვენეციაში 1493 წელს. მას შემდეგ „მედიცინის კანონი“ ოცდაათჯერ და მეტჯერ გამოიცა ევროპაში და შეინარჩუნა სახელმძღვანელო სამედიცინო თხზულების მნიშვნელობა XVII საუკუნის დამლევამდე.

მთელ რიგ საუკუნეთა მანძილზე ავიცენას სახელი აერთიანებდა კულტურულ კაცობრიობას ადამიანის ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი სიცოცხლისათვის ბრძოლაში.

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულმა და მრავალმხრივმა მეცნიერმა ავიცენამ თავის შემოქმედებაში ასახა გამოცდილებაზე დამყარებული ცოდნის პირველი ცდები—დაპირისპირებისა და რელიგიურ დოგმატიზმს. რელიგიური მოძღვრების წინააღმდეგ, რომ მსოფლიოს ყველა მოვლენას ღმერთი განაგებსო, ავიცენა თავის სამეცნიერო და ფილოსოფიურ შრომებში გვასწავლის ბუნების მოვლენათა მიზეზობრივ კანონზომიერებას, მიმართავს ცდასა და დაკვირვებას, როგორც შემეცნების საშუალებებს. ავიცენა უარყოფს, რომ სამყარო შემოქმედების შედეგია. იგი გვასწავლის, რომ სამყარო მარადიულია. აი ამიტომ დაესხნენ თავს ავიცენას მოძღვრებას ასე გააფთრებით მუსლიმანი ღვთისმეტყველები.

ავიცენა ძვირფასია ჩვენთვის როგორც მეცნიერი, რომელმაც თავის მოღვაწეობაში განახორციელა ადამიანის გონების უსაზღვრო შესაძლებლობანი. იმ წლებში, როცა შუა აზიის სახელმწიფოებში შინა ომები მძვინვარებდა, როცა ფეოდალ მბრძანებელთა სურვილით ისპობოდა სახელმწიფოები და იჩაგრებოდნენ ხალხები, დიდ მოაზროვნეს სწამდა ადამიანის გონების მიღწევათა მარადიულობა. იგი ქმნიდა არა მარტო აწმყოსათვის, რომელიც უსიხარულო იყო, არამედ უკეთესი მომავლისთვისაც, რომელიც მას სწამდა.

ბურჟუაზიული ისტორია არაბული კულტურის მიღწევად თვლის ავიცენას შემოქმედებას. მაგრამ ავიცენა დედითა და მამით ტაჯიკია. მამა მისი იყო ქალაქ ბალხიდან, სადაც უმთავრესად ტაჯიკები სახლობდნენ. დედა ტაჯიკია. ავიცენას დედაენა ტაჯიკური იყო.

XIII-XIV საუკუნეები მონღოლთა ბატონობის საშინელებათა პერიოდი იყო. მტრის ურდოების შემოსევათა შედეგად ტაჯიკებს ნაყოფიერი ველებიდან აძევებდნენ მთებში, სადაც არსებობის პირობები მძიმე იყო და მიწათმოქმედება უდიდეს შრომას მოითხოვდა. მთელი მომდევნო ხანა იყო ტაჯიკი ხალხის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების დაცემის პერიოდი.

რევოლუციამდე ტაჯიკეთი, რომელსაც აღმოსავლეთი ანუ მთიანი ბუხარა ეწოდებოდა, შუა აზიის ყველაზე ჩამორჩენილი ნაწილი იყო, ტაჯიკი ხალხი ბუხარის ემირატის უღელქვეშ იმყოფებოდა, ხოლო მეფის მთავრობა სრულიად არ ზრუნავდა ამ ხალხის კულტურისათვის.

მხოლოდ დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაუხსნა გზა ტაჯიკი ხალხის ნიჭიერ შვილებს. მტაბჯველი კაპიტალიზმის სტადიის გაუვლელად იგი გადავიდა ფეოდალური წყობილებიდან სოციალიზმში და შუა აზიის რესპუბლიკების სხვა ხალხებთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ვითარდება როგორც სოციალისტური ერი.

ახლა ტაჯიკი ხალხი წარმოადგენს კომუნისტურ მშენებლობაში შესანიშნავ წარმატებათა საფუძველზე მაღალი კულტურული განვითარების ბრწყინვალე მაგალითს. ბამბის მოსავლიანობის მიხედვით საბჭოთა ტაჯიკეთს პირველი ადგილი უკავია შუა აზიის სხვა რესპუბლიკებს შორის. ტაჯიკმა ხალხმა მოგვცა სოციალისტური შრომის გმირები. ტაჯიკეთის სსრ რესპუბლიკაში სამასზე მეტი მილიონერი კოლმეურნეობაა. მრეწველობის საერთო პროდუქცია უკანასკნელ ოც წელიწადში 50-ჯერ გაიზარდა.

იქ, სადაც დიდ ოქტომბრის რევოლუციამდე მოსახლეობის 99,5 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, სადაც მუსლიმანურ სკოლებში სულ ბევრი ოთხასი მოსწავლე იყო, ამჟამად მოსახლეობა მთლიანად წერა-კითხვის მცოდნეა, არის სამი ათასზე მეტი სკოლა, სადაც სწავლობს 300.000-ზე მეტი ბავშვი, გახსნილია სხვადასხვა სპეციალობის 30-ზე მეტი ტექნიკუმი და სასწავლებელი, დაარსდა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის უნივერსიტეტი, სამედიცინო, პედაგოგიური, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ინსტიტუტები. მეცნიერების განვითარებას სათავეში უდგას ტაჯიკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემია—მეთორმეტე მეცნიერებათა აკადემია სსრ კავშირში. იგი გაიხსნა 1951 წლის გაზაფხულზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ტაჯიკეთის ფილიალის ბაზაზე, რომელიც წარმატებით მუშაობდა 18 წელიწადს. იფურჩქნება ტაჯიკი ხალხის ლიტერატურა და ხელოვნება.

საბჭოთა ტაჯიკეთის მთელი ისტორია ერთ-ერთი ბრწყინვალე მაგალითია იმისა, თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკულად ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკა, რომელმაც სსრ კავშირის ყველა მოძმე ხალხს გაუხსნა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარების გზა.

ახლა შუა აზიის ყველა ხალხი საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად წმიდად ინახავს და პატივს სცემს თავისი დიდი შვილების ხსოვნას. ცოცხლობს და მარად იცოცხლებს ხსოვნა დიდი ენციკლოპედისტი მეცნიერისა და ფილოსოფოსის აბუ ალი იბნ-სინასი, რომელმაც ნაყოფიერი გავლენა მოახდინა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მეცნიერებისა და კულტურის პროგრესზე.

(„პრავდა“ 18 აგვისტო)

ღიდი სტალინისათვის გაგზავნილ წერილში ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად შეასრულებთ

მეტი და მაღალხარისხოვნად შეკეთებული ორთქლმავლებისათვის

თბილისის საორთქლმავლო დეპოს გარეცხვითი შეკეთების საამქრომ წელს გეგმის გადამეტებით 47 ორთქლმავალი შეკეთა, რაც დიდად აღემატება ნაკისრ ვალდებულებას. საამქროს კოლექტივს განზრახული აქვს წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის შეასრულოს. საამქროში ერთ-ერთი მოწინავეა ზეინკალთა ბრიგადა, რომელსაც კოტე სინჯიკაშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადაში სახელი გითქვა ზეინკალმა გიორგი ხაჭაპურიძემ. მან დიდი გადაჭარბებით შეასრულა რკინიგზელის სტალინური დღის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება.

— ჩვენი ბრიგადის ყველა წევრს, — განაცხადა სტახანოველმა გიორგი ხაჭაპურიძემ,—ერთი მიზანი ამოძრავებს: ვიმუშაოთ საბჭოთა საშობლოს საკეთილდღეოდ. ამან შეგვაძლებინა ის, რომ ივლისში გეგმის გადამეტებით 2 ორთქლმავალი შევაკეთეთ. ახლა გავანადგეთ ბრძოლა დიდი სტალინისათვის მიცემული სიტყვის გასანადღებლად. გადაწყვეტილი გვაქვს აგვისტოში გეგმის გადამეტებით 3 ორთქლმავალი შევაკეთოთ. ერთი ორთქლმავალი უკვე შევაკეთეთ და მეორესაც მალე გამოვუშვებთ. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ თვითეული სახეინკლო ოპერაციის საუკეთესოდ შესრულებას. პირადად მე გეგმას 250-280 პროცენტით ვასრულებ. სოციალისტურ შეჯიბრებაში ვარ ჩაბმული მოწინავე ზეინკალ ეოსებ მირიანაშვილთან. 8 აგვისტოს ეოსებ მირიანაშვილთან ერთად ვიმუშავე. ჩვენ ორმა შევაკეთეთ ერთი ორთქლმავლის მკვეთარები, რვილები, ჯვართავა, საკუნესე მექანიზმი და დღიური დავალება 300 პროცენტით გავანადგეთ.

დისპეტჩერებთან თანამეგობრობით

— 7 თვეში თბილის-ხაშურის უბანზე 56 მძიმე წონის მატარებელი გავატარე და გეგმის გადამეტებით 20 ათას ტონაზე მეტი ტვირთი გადავზიდე,—განაცხადა თბილისის საელმავლო დეპოს უფროსმა მემანქანემ სიკო გოგოლაძემ, — ეს თითქმის 10 ეშელონს უდრის. ჩემი ელექტრომავალი სამგზავრო ანგარიშზეა და სარემონტო ხარჯების შემცირებით 8.676 მანეთის ეკონომია გავწიე.

მიღწევის არ ვჯერდები. განზრახული მაქვს მუშობა ისე მოვაწყო, რომ ყველა რეისზე მძიმე წონის მატარებელი წავიყვანო, ამასთან დავაჩქარო მატარებლის მოძრაობა, გავზარდო ელექტრომავლის სადღეღამისო გარბენი. ამ საქმეში ხელს მიწყობს დისპეტჩერებთან თანამეგობრობა. ცალკეული რეისის სანამუშოდ მოწყობისათვის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას ვდებ დისპეტჩერებთან ა. დევდარიანთან და კ. მეკავიასთან. დისპეტჩერ ა. დევდარიანის ხელშეწყობით ამას წინათ მძიმე წონის მატარებელი ხაშურიდან თბილისში ვადაზე საათნახევრით ადრე ჩამოვიყვანე.

ახლა იმისათვის ვიბრძვი, რომ აგვისტოში 13 მძიმე წონის მატარებელი გავატარო და ერთიორად შევამცირო ელექტრომავლის გათვალისწინებული ხარჯები.

მატარებლები ვგზავნოთ გრაფიკის მიხედვით

— ზაფხულის პერიოდში, — განაცხადა თბილისის სამგზავრო სადგურის მორიგემ ოინა ნადარეიშვილმა,—საგრძნობლად გაფხარდა მატარებლების მოძრაობა, დაწესდა ახალი მარშრუტები და დამატებითი მატარებლები. ის ცვლა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ერთსულოვანი, შეწყობილი მუშაობით წარმატებით ასრულებს მის წინაშე მდგომ ამოცანებს. წინანდელთან შედარებით ახლა გაცილებით ნაკლებია გრაფიკის დარღვევის, დაზიანებული ვაგონების ახსნისა და შეკეთების დაგვიანების შემთხვევები. საქმისადმი სიყვარულითა და ბეჯითი შრომით განსაკუთრებით გამოირჩევიან უფროსი მეისრე გ. მღებრიშვილი, მატარებლის შემდგენელი გ. დათაშვილი, სამანევრო მემანქანე ი. ძაგანაშვილი, უმცროსი მეისრე ი. ზარასპაშვილი და სხვები. ყველა მათგ

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 16 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 16 აგვისტოს ცნობაში ნათქვამია:

გასულ ღამეს ფრონტებზე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

ღამეს თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის ორი თვითმფრინავი.

ფხენიანი, 17 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 17 აგვისტოს ცნობაში ნათქვამია:

გასულ ღამეს მანძილზე სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად ყველა ფრონტზე იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს და განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს წინანდელ ზღუდეებზე. ღამეს საზენიტო არტილერიის ნაწილებმა და თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა ფრონტებსა და ზურგში ჩამოაგდეს მტრის 4 და დააზიანეს 3 თვითმფრინავი.

კორეელმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა საბჭოთა არმიის მიერ კორეის განთავისუფლების მე-7 წლისთავი

ფხენიანი, 15 აგვისტო. (საკდესი). 15 აგვისტოს კორეელმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა საბჭოთა არმიის მიერ იაპონელთა კოლონიური უღლისაგან კორეის განთავისუფლების მე-7 წლისთავი. ქალაქებისა და სოფლების შენობებზე მწვანეში ჩასმულია კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად. წლისთავის ღამეს და დღესასწაულის წინა ღამეს სინიეჯუში, ვონსანში, ხამხინსა და სხვა ქალაქებში კორეის განთავისუფლებისათვის ბრძოლების დროს 1945 წლის აგვისტოში დაღუპული საბჭოთა მეომრების საფლავები მრავალი გვირგვინით შეამკეს. ყვავილების ღიდი თაიგულებით შეამკეს კვარცხლბეკი დიდებული ობელისკისა, რომელიც კორეელმა ხალხმა აღმართა განმათავისუფლებელი საბჭოთა არმიის პატივსაცემად ფხენიანში მორანბონის მთაზე.

ღამესასწაულის წინ ფხენიანში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და სოფლებში საზეიმო კრებები გაიმართა.

კორეის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ღირსშესანიშნავი წლისთავისადმი მიძღვნილი მთელი რიგი სტატიები.

15 აგვისტოს საღამოს ფხენიანში, ვონსანსა და ხამხინში სახალხო არმიის უმაღლესი მთავარსარდლის კიმ ირ სენის ბრძანებით გაისმა სადღესასწაულო საარტილერიო სალუტის 20 ზალპის გრიალი.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ორდენებით დაჯილდოება კორეის განთავისუფლების მე-7 წლისთავის გამო

ფხენიანი, 17 აგვისტო. (საკდესი). კორეის გაზეთები აქვეყნებენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულებებს იმის შესახებ, რომ კიმ ჩაკის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური სკოლა და კანდონის სახელობის სამხედრო სკოლა დაჯილდოებული იქნა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პირველი ხარისხის ორდენით.

იაპონელ ინტერვენტთა კოლონიური ჩაგვრისაგან საბჭოთა არმიის მიერ კორეის განთავისუფლების მე-7 წლისთავთან დაკავშირებით რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების ბრძანებულებით ორდენებით დაჯილდოებულია კორეის სახალხო არმიის გენერლების დიდი ჯგუფი.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოებულთა შორის არიან: სახალხო არმიის მთავარი პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალი კიმ დია უკი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ორგზის გმირი გენერალი პან ხო სანი, გენერლები ლი კვონ მუ, კიმ ბონ ნიული, კიმ კანი, იუ სონ ჩოლი, ცოი კვანი და სხვები.

აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის წინ

პეკინი, 18 აგვისტო. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნომ სხვადასხვა ქვეყნის მშვიდობის დაცვის კომიტეტებს, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის დაცვის კონგრესში, მიმართა წერილით. მიმართვაში აღნიშნულია, რომ აზიისა და წყნარი ოკეანის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, ისევე როგორც მთელი დანარჩენი მსოფლიოს ხალხები, თავის მხურვალე მხარდაჭერას აღუთქვამენ პეკინში გამართულ აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის მომწვევ მოსამზადებელ კონფერენციას.

მიმართვაში ნათქვამია, რომ კონგრესისათვის მოსამზადებელი მუშაობა სხვადასხვა ქვეყანაში კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდა. აზიისა და წყნარ ოკეანეში მშვიდობისათვის მუშაობა, ნათქვამია შემდეგ მიმართვაში, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილია. აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის წარმატება დიდად შეუწყობს ხელს ხალხთა მშვიდობის დაცვის იმ კონგრესისათვის მომზადებას, რომელიც მიმდინარე წლის დეკემბერში გაიმართება.

მიმართვაში აგრეთვე ნათქვამია: „მშვიდობის მსოფლიო საბჭო სერიოზულად იმედოვნებს, რომ თქვენ მაქსიმალურ ღონეს იხმართ აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის მოწვევის მოწყობისათვის. ვვინდა ვითანამშრომლოთ თქვენთან და თქვენთან ერთად ვუსურვებ წარმატებას კონგრესს“.

ჯაშუშობის ცენზრი ჰონკონგში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ

იტალიის გაზეთის ცნობა

რომი, 17 აგვისტო. (საკდესი). გაზეთ „პაეზეს“ ნიუ-იორკელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტთან ახლოგდგომი წრეების ცნობით, ინგლისი დათანხმდა სახელმწიფო მდივნის აჩესონის წინადადებაზე ჰონკონგში ინგლის-ამერიკის თანამშრომლობის შესახებ „ჩინელ ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტის“ მეშვეობით, რომელსაც ქმნის სახელმწიფო დეპარტამენტი ჩინეთის წინააღმდეგ ჯაშუშური და პროვოკაციული საქმიანობისათვის. ამ კომიტეტის ბიუჯეტი შეადგენს ათ მილიონ დოლარს, მის ხელმძღვანელთა შორის იქნებიან პირნი, რომლებიც პირადად შეარჩია ჩან კაი-შის ცოლმა. ბიუჯეტის სახსრების ნახევარს გაიღებს შეერთებული შტატების მთავრობა „უშიშროების ურთიერთუზრუნველყოფის 1951 წლის კანონის“ საფუძველზე, ნახევარი კი როკფელერისა და ფორდის ფონდებიდან გაიცემა. კომიტეტი იქნება აჩესონის, მარშალისა და ვედემეიერის მფარველობაში. ოფიციალურად მისი ამოცანა იქნება დახმარების გაწევა ლტოლვილი ჩინელი „ინტელიგენტებისათვის“, მაგრამ ნამდვილად იგი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჯაშუშური და დივერსიული საქმიანობის საკოორდინაციო ცენტრი იქნება. ამერიკის მთავრობას ეს კომიტეტი უნდა შეექმნა რაც შეიძლება ახლო ჩინეთის ტერიტორიასთან, უფრო ახლო, ვიდრე ტაივანია. ამ მიზნისათვის ჰონკონგზე უფრო მარჯვე ადგილის პოვნა არ შეიძლებოდა. არსებული ცნობებით, ინგლისის მთავრობამ უკვე მისცა ჰონკონგის გუბერნატორს საჭირო მითითებანი ხელი შეუწყოს ამას, რომ იქ შეიქმნას „კომიტეტის“ ფილიალი და დაიწყოს თანამშრომლობა ამ კომიტეტში ამერიკის წარმომადგენლებთან, რომლებიც უკვე იმყოფებიან ჰონკონგში.

უცხოეთის საწარმოთა ნაციონალიზაცია ჩინეთში

შანხაი, 16 აგვისტო. (საკდესი). ღამეს გაზეთი „ძეფანეიბაო“ იუწყება, რომ შანხაის სამხედრო-საკონტროლო კომიტეტმა ბრძანება გასცა რეკვიზირებულ იქნას ინგლისელთა კუთვნილი ვერფება „რანხაი დოკიარდს ლიმიტედი“ და „მოლერს შიპბილდინგ ენდ ინჯინირინგ უორკს ლიმიტედი“.

ბრძანებაში ნათქვამია, რომ რეკვიზიცია ხდება ჩინელი ხალხის ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით და ვრცელდება ამ კომპანიების ყველა მოძრავ და უძრავ ქონებაზე.

გაზეთი „სინვენეიბაო“ წერს: შანხაის მთელი მოსახლეობა მიესალმება სამხედრო-საკონტროლო კომიტეტის გადაწყვეტილებას ორი გემსაშენი კომპანიის რეკვიზიციის შესახებ, რადგან ეს გადაწყვეტილება მთლიანად შეესაბამება ჩვენი სახალხო სახელმწიფოს ინტერესებს.

ამერიკელთა დაქირავებულნი უარს აცხადებენ კორეაში ბრძოლაზე

ჟენევა, 17 აგვისტო. (საკდესი). გაზეთ „ჰეტ ფადერლანდის“ ცნობით, გუშინ როტერდამის ნავსადგურში ამერიკელთა ტრანსპორტით ჩამოვიდა 212 ჯარისკაცი და ოფიცერი, რომლებიც ამერიკელ ინტერვენტთა მხარეზე იბრძოდნენ კორეაში. ჩამოსულთა შორის 160 ჰოლანდიელი, 48 ბელგიელი და 4 ფრანგი.

მეტმა ნაწილმა ჩამოსულმა ჯარისკაცებმა გააუქმეს კონტრაქტები, რადგან არ ისურვეს კვლავ ეომნათ კორეაში ამერიკელ იმპერიალისტთა ინტერესებისათვის.

„მე ბრაღს ვდებ“

დოქტორ ჯ. ენდიკოტის ბროშურა ამერიკელთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების შესახებ

ოტავა, 17 აგვისტო. (საკდესი). ჯერ კიდევ 1952 წლის აპრილში კანადის შშვიდობის მომხრეთა კონგრესის თავმჯდომარემ დოქტორმა ჯეიმს ენდიკოტმა შანხაიდან კანადის საგარეო საქმეთა მინისტრს პირსონს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „პირადად ჩემს მიერ წარმოებული გამოკვლევა უდაოდ ამტკიცებს, რომ ამერიკელები კვლავ დიდი მასშტაბით ეწევიან ბაქტერიოლოგიურ ომს ჩინეთის ტერიტორიაზე. მოგიწოდებთ პროტესტი განაცხადოთ გაერთიანებული ერების შეთანხმების ამ სამარცხვინო დარღვევის წინააღმდეგ.

მიუხედავად დევნისა, რომელიც ენდიკოტს მოუწყეს ჩინეთიდან კანადას დაბრუნების შემდეგ, და ცდებისა — მისცენ იგი სამართალში, ენდიკოტი მამაცურად ამხილებს ამერიკელ დამპყრობთა საზიზღარ დანაშაულობებს და დახმარებას უწევს კანადელ ხალხს, რომ გოგოს იმ ამბების ჭეშმარიტი ხასიათი, რაც შორეულ აღმოსავლეთში ხდება.

ამასწინათ გამოვიდა ენდიკოტის ბროშურა „მე ბრალს ვდებ!“ ბროშურის ავტორი მოგვითხრობს ჩინეთში მისი გამგზავრებისა და ამერიკელთა მიერ კორეელი და ჩინელი ხალხის წინააღმდეგ წარმოებული ბაქტერიოლოგიური ომის შესახებ.

ეხება რა მის წინააღმდეგ მოწყობილ დევნას, რაც წარმოებდა რეაქციულ პრესასა და პარლამენტში, და იმ შეურაცხყოფას, რასაც იგი განიცდიდა, დოქტორი ჯეიმს ენდიკოტი ბროშურაში წერს, რომ, „თუ მხედველობაში მივიღებთ ასეთ უანაურ ყოფაქცევას, შეიძლება, ვიფიქროთ, რომ დანაშაულობას წარმოადგენს არა ბაქტერიოლოგიური ომის წარმოება, არამედ ამ ომის დაგმობა და რომ დასჯილ უნდა იქნას არა მკვლელი, არამედ ის, ვინც მოწმედ გამოდის მკვლელის წინააღმდეგ...

... თუ მთავრობა უარს აცხადებს მოისმინოს, მე უნდა მივმართო ხალხს, რომ მან თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება“.

ენდიკოტი დაწვრილებით აღწერს მის მიერ ნახულ ბაქტერიოლოგიურ ბომბებს, რომლებსაც ამერიკელები იყენებენ.

მდგომარეობა ეგვიპტეში

ბეირუთი, 16 აგვისტო. (საკდესი). ეგვიპტის პრესის ცნობით, კაფრ ედ-დავარის გაფიცულთან დაკავშირებით, სამართალში მიცემული 576 კაცი. ბოლოს ეგვიპტელებთან გაფიცულთა შეტაკების დროს მოკლულია ცხრა კაცი: ექვსი მუშა, ორი ჯარისკაცი და ერთი პოლიციელი. დაჭრილთა რიცხვი 25-ს უდრის.

ლონდონი, 16 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, 15 აგვისტოს სპეციალური სამხედრო ტრიბუნალის სხდომაზე პროკურორმა მოითხოვა სასიკვდილო განაჩენის გამოტანა ახალგაზრდა ეგვიპტელი მუშის—ფეიქარ მუსტაფა ხამისისათვის, რომელსაც ბრალად დასდეს, რომ იგი „არეულობის მთავარი წამომწყები“ იყო კაფრ ედ-დავარის ბამბეულის ფაბრიკაში. სამხედრო ტრიბუნალმა დაამტკიცა სასამართლო საქმის გარჩევა და თვითონ განაჩენი სამხედრო თვითმფრინავით გაუგზავნა კაიროში ეგვიპტის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის გენერალ ნაგიბის შტაბს, რომელმაც უნდა დაამტკიცოს განაჩენი.

15 აგვისტოს საფეიქრო ფაბრიკაში და მის გარშემო იმყოფებოდნენ ჯარი სრული საბრძოლო აღჭურვილობით და პოლიციელები. ფოლადის მუზარადებით. მეზობელ რაიონებში ჯერ კიდევ დგანან ტყვიამფრქვევები შეიარაღებული ტანკები, ჯავშნიანი ავტომანქანები და ჯავშნიანი ტრანსპორტერები.

გაიხსნა შეჯიბრება მსოფლიოს პირველობაზე ფრენბურთში

17 აგვისტოს მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიხსნა ქალ-ვაჟთა გუნდების შეჯიბრება მსოფლიო პირველობაზე ფრენბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ბულგარეთის, უნგრეთის, ისრაელის, ინდოეთის, ლიბანის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, ფინეთის, საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის ვაჟთა გუნდები და ბულგარეთის, უნგრეთის, ინდოეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის ქალთა გუნდები.

შეჯიბრების დაწყებისას 40 ათასზე მეტი მოსკოველი შეიკრიბა „დინამოს“ სტადიონზე.

ტრიბუნის თავზე ქარი აფრიალებს იმ 11 ქვეყნის სახელმწიფო ალმებს, რომელთა გუნდებიც შეჯიბრებაში მონაწილეობენ.

...დღის 12 საათია. ზეიმით გაისმის ფანფარების ხმა. სტადიონის სარბენ ბილიკზე მარშის გუგუნში გამოდიან შეჯიბრების მონაწილენი. ისინი დასავლეთის ტრიბუნის წინ ეწყობიან. მათ მისალმებით მიმართავს შეჯიბრების მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ი. ვერესკოვი.

შემდეგ გამოვიდა ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ბ-ნი პ. ლობო (საფრანგეთი).

...ფლაგშტოკზე ფრიალებს სსრ კავშირის ალისფერი დროშა. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის გუგუნში იგი აღმართეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ჩუდინამ — სსრ კავშირის ქალთა ნაკრები გუნდის კაპიტანმა, გუნდისა, რომელიც ევროპის ჩემპიონია ფრენბურთში, და სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. ულიანოვმა — სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები გუნდის — ფრენბურთში მსოფლიო ჩემპიონის კაპიტანმა.

შეჯიბრება გახსნილად ცხადდება, დასავლეთის ტრიბუნის წინ მოედანზე პირველნი გამოდიან პოლონეთისა და უნგრეთის ქალთა ნაკრები გუნდები. პოლონელი ფრენბურთელი ქალები ერთ-ერთი უძლიერესი არიან ევროპაში. მარშან ფრენბურთში ევროპის პირველობის გათამაშებაში მათ მეორე ადგილი დაიკავეს.

პოლონეთის სპორტსმენები ერთსულოვნად, ენერგიულად თამაშობენ. და სამ პარტიაში მათ მოიგეს ანგარიშით 15:5, 15:3, 15:5.

დიდი ინტერესი გამოიწვია ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრები გუნდების შეჯიბრებამ. პირველი პარტია დამთავრდა ანგარიშით 15:10 სსრ კავშირის გუნდის სასარგებლოდ. შემდეგ საბჭოთა ფრენბურთელებმა კიდევ უფრო დიდი ოსტატობა გამოამჟღავნეს. მათ შემდეგი პარტიები მოიგეს ანგარიშით 15:4, 15:6.

პოლონეთისა და ფინეთის ვაჟთა ნაკრები გუნდების შეხვედრა დამთავრდა პოლონელ სპორტსმენთა გამარჯვებით ანგარიშით 15:8, 15:5, 15:6.

რუმინეთისა და ლიბანის ვაჟთა ნაკრები გუნდების შეჯიბრებაში გაიმარჯვეს რუმინელმა ფრენბურთელებმა. პარტიების ანგარიშია 15:9, 15:1, 15:2 რუმინეთის გუნდის სასარგებლოდ.

შეჯიბრება გრძელდება. 18 აგვისტოს ერთმანეთს შეხვდებიან უნგრეთ-ბულგარეთის, ისრაელ-საბჭოთა კავშირის, საფრანგეთ-ჩეხოსლოვაკიის ვაჟთა გუნდები. აგრეთვე რუმინეთ-ჩეხოსლოვაკიის ქალთა გუნდები. (საკდესი).

სპორტის ახალი ამბები

რიგა, 18 აგვისტო. (საკდესი). გუშინ რიგაში კიშის ტბაზე დამთავრდა ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრება იალქნიან სპორტში. პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ რუსეთის სფსრ, უკრაინის, აზერბაიჯანის, საქართველოს, ლიტვის, ესტონეთისა და ლატვიის ჭაბუკთა და ქალიშვილთა გუნდები.

პირველი ადგილი მოიპოვა უკრაინის სსრ გუნდმა. მეორე ადგილზე არიან ლატვიის იახტსმენები.

X საჭადრაკო ოლიმპიადა

ჰელსინკი, 16 აგვისტო. (საკდესი). დღეს X საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადის მესამე ჯგუფში მოხდა გადადებული პარტიების გათამაშება, რომელმაც გამოარკვია ხუთი ტურის შემდეგ გუნდების მდგომარეობა. წინ არიან საბჭოთა კავშირის გუნდი — 16,5 ქულა, ამერიკის შეერთებული შტატებისა — 15, ფინეთისა — 11,5, მათ მიჰყვებიან ჰოლანდიის გუნდი — 10,5, ისრაელისა — 9,5, პოლონეთისა — 8, შვეიცარიისა — 5 და საბერძნეთისა — 4 ქულა.

პირველ ჯგუფში გაიმართა მე-7 ტური. ჩეხოსლოვაკიის გუნდმა მოუგო ლუქსემბურგს ანგარიშით 4:0. დასავლეთ გერმანიისა და არგენტინის შეხვედრა 5 საათის შემდეგ ყაიმით დამთავრდა ანგარიშით 2:2. ჭუბა-ისლანდიისა და ინგლის-საარის შეხვედრის შედეგი გამორკვეული არ არის გადადებული პარტიების გამო. ამ ჯგუფში ფინალში გასვლის საუკეთესო შანსები აქვთ დასავლეთ გერმანიის გუნდს — 20 ქულა ოცდაშვიდში, არგენტინისას — 18 ოცდათოხში და ჩეხოსლოვაკიისას — 17 ოცდათხუთმეტში.

მეორე ჯგუფში გაიმართა მეხუთე ტური. წინ არიან შვეიცის გუნდი — 15,5 ქულა ცხრამეტში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — 12 ქულა ცხრამეტში, იუგოსლავიისა — 11,5 ქულა ცხრამეტში და უნგრეთისა — 10 ქულა თექვსმეტში.

ხვალ მე-6 ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვდებიან საბერძნეთის გუნდს.

ჰელსინკი, 17 აგვისტო. (საკდესი). დღეს ნახევარფინალის უკანასკნელის წინა ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები საბერძნეთის გუნდს შეხვდნენ. საბჭოთა გუნდში ბრონშტეინისა და გელერის ნაცვლად გამოვიდნენ ბოლესლავსკი და კოტოვი. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 4:0 საბჭოთა კავშირის გუნდის სასარგებლოდ.

დიდი ინტერესი გამოიწვია პოლონეთის გუნდის შეხვედრამ ამერიკის შეერთებული შტატების გუნდთან. ხუთი საათის თამაშის შემდეგ ანგარიშია $1^1/_2$:$1^1/_2$.

ჩეხოსლოვაკიის გუნდმა გამარჯვება მოიპოვა ინგლისის გუნდზე ანგარიშით $2^1/_2$:$1^1/_2$. დანარჩენი მატჩები არც ერთ ნახევარფინალურ ჯგუფში არ დამთავრებულა და შედეგები გამოირკვევა მხოლოდ თამაშის დამთავრების შემდეგ, რომელიც მოხდება დღეს საღამოს და ხვალ ღილით...

19 აგვისტოს ყველა ნახევარფინალში გაიმართება უკანასკნელი ტური.

ახლა წამყვანი გუნდების მდგომარეობა მესამე ჯგუფში ასეთია: სსრ კავშირს აქვს $20^1/_2$ ქულა 24-ში, ამერიკის შეერთებულ შტატებს — $16^1/_2$ 23-ში, ფინეთს — 12 ქულა 22-ში, ჰოლანდიას — $10^1/_2$ ქულა 20-ში.

მხალვარული მომსახურება მეშახტეებს

საქართველოს სსრ [illegible] რესპუბლიკურმა [illegible] და ცეკვის [illegible] ფილარმონიამ [illegible] ოთხშაბათ [illegible] წილობა მიიღონ მეშახტის დღის აღნიშვნაში, მოამზადონ სპეციალური პროგრამები და მაღალმხატვრული მომსახურება გაუწიონ ქვანახშირის სამრეწველო რაიონების მოსახლეობას.

ამასთან ხალხური შემოქმედების სახლმა მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივებს შესასწავლად გაუგზავნა კომპოზიტორების გ. კოკელაძის და ა. შავერზაშვილის ახალი სიმღერები მეშახტეების შესახებ, გ. გოგიჩაშვილის პიესა „პირველი გამოცდა“, სუხოდოლსკისა და ულიანინსკის „ფართო ნაბიჯით“ (ქართული ტექსტი ლ. ციცაგისა), მ. გოგიაშვილის პიესა „მეშახტის ღღე“ და სხვა.

მეშახტის დღისათვის ხალხური შემოქმედების სახლი ქუთაისში, ტყიბულში, კვეზანში, ახალციხესა და ტყვარჩელში მეშახტეთა თვითმოქმედი წრეებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად გზავნის კომპლექსურ ბრიგადებს.

ქვანახშირის სამრეწველო რაიონებში გადაწყვეტილია აგრეთვე სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლების გაგზავნა.

ფეხბურთი

მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე 17 აგვისტოს გაიმართა მორიგი შეჯიბრება ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. თამაშობდნენ „ა“ კლასის გუნდები — თბილისისა და მინსკის „დინამოს“ გუნდები.

შეხვედრა დამთავრდა თბილისელ დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:1. (საკდესი).

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — ამიერკავკასიის გზამ ახლებურად უნდა იმუშაოს.

მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია.

„პრავდის“ 18-VIII მოწინავე — კომუნიზმის მშენებლობანი და პრესის ამოცანები.

მეორე გვერდი — ახალი ამოცანების დონეზე ავიყვანოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ამიერკავკასიის რკინიგზაზე, ამხ. ა. ი. მგელაძის სიტყვა ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტმუშაკთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა თათბირზე.

მესამე გვერდი — ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილებათა მუშაკებისა და სამეურნეო ხელმძღვანელების თათბირი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში.

ჩემი გამოცდილება მძიმე წონის მატარებელთა წაყვანაში — მემანქანე ვ. ლორიას ნაამბობი. ა. მამაჯანაშვილი — რენტაბელური გაგზავნთ ყველა ორთქლმავალი.

ტ. ჯიბუტი — კანონთა დამრღვევნი დაუსჯელი რჩებიან.

ე. ნ. პავლოვსკი — დიდი მეცნიერი ენციკლოპედისტი (ავიცენას დაბადების 1.000 წლისთავისათვის).

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ფიზკულტურა და სპორტი — ფრენბურთში პირველობისათვის შეჯიბრების გახსნა. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორი გ. მერკვილაძე

სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მოგებიანი სესხი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა 28-ე ტირაჟისა, რომელიც შედგა 1952 წლის 30 ივლისს ქალაქ გორკში. მოგება ზედა სესხის ოთხივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგებათა რაოდენობა მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგებათა რაოდენობა მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგებათა რაოდენობა მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგებათა რაოდენობა მანეთობით
001316	04*)	10.000	025677	33*)	5.000	054905	1—50	400	076559	27*)	5.000
002740	13*)	5.000	025873	13*)	5.000	055110	15*)	5.000	076748	49*)	5.000
002991	25*)	10.000	026962	1—50	400	055659	1—50	400	077462	03*)	25.000
003217	12*)	5.000	029373	07*)	10.000	055903	1—50	400	077741	21*)	25.000
003904	15*)	5.000	030188	18*)	5.000	056103	25*)	5.000	077839	47*)	5.000
004085	1—50	400	031000	1—50	400	056213	1—50	400	078108	1—50	1.000
004701	06*)	5.000	032278	20*)	10.000	056273	43*)	5.000	078152	42*)	5.000
005435	32*)	25.000	032485	15*)	5.000	056940	1—50	400	078246	06*)	5.000
008272	27*)	5.000	032591	17*)	5.000	058179	1—50	400	081346	1—50	400
008736	1—50	400	032603	13*)	10.000	058337	28*)	5.000	081432	1—50	400
008946	1—50	400	033778	49*)	5.000	059217	26*)	5.000	082182	1—50	400
009281	21*)	10.000	033790	20*)	5.000	059541	37*)	50.000	082469	30*)	10.000
009873	1—50	1.000	034093	41*)	5.000	059802	22*)	5.000	082915	18*)	10.000
010162	42*)	5.000	034115	50*)	5.000	059813	1—50	400	083199	1—50	1.000
010450	1—50	400	034135	28*)	10.000	060231	1—50	400	083551	43*)	5.000
012361	1—50	400	034711	23*)	10.000	060506	13*)	5.000	083710	15*)	5.000
014154	10*)	5.000	035465	35*)	10.000	060972	1—50	400	084172	28*)	5.000
014404	41*)	5.000	037110	26*)	5.000	061422	45*)	5.000	084204	17*)	10.000
014443	1—50	1.000	039430	1—50	400	062871	1—50	400	086651	32*)	5.000
014978	20*)	5.000	040614	15*)	5.000	063451	09*)	10.000	086834	34*)	10.000
015267	42*)	5.000	040644	48*)	5.000	064187	1—50	400	086958	32*)	5.000
016548	1—50	1.000	040763	35*)	10.000	064397	11*)	5.000	087432	44*)	5.000
017108	1—50	400	040831	1—50	400	065977	1—50	400	087355	14*)	5.000
017457	33*)	10.000	041304	1—50	1.000	066825	1—50	400	088460	1—50	400
017477	1—50	400	042383	1—50	400	066836	1—50	1.000	089427	19*)	5.000
017631	05*)	5.000	046068	50*)	5.000	066969	40*)	5.000	090664	01*)	5.000
017749	01*)	5.000	046120	36*)	10.000	067878	10*)	5.000	091520	1—50	400
017985	44*)	5.000	046665	40*)	50.000	067981	12*)	5.000	091930	1—50	1.000
018091	1—50	1.000	047238	11*)	10.000	068255	19*)	5.000	091964	40*)	5.000
018859	20*)	5.000	047293	44*)	5.000	068955	21*)	5.000	093432	36*)	5.000
019011	1—50	400	048323	1—50	1.000	070137	1—50	400	093443	03*)	10.000
020475	18*)	5.000	048689	26*)	5.000	070963	17*)	5.000	093869	05*)	10.000
020784	1—50	400	050579	1—50	400	071371	02*)	5.000	094525	39*)	5.000
020860	08*)	5.000	050760	47*)	5.000	071490	1—50	400	094545	20*)	10.000
021215	1—50	400	051214	45*)	5.000	071533	47*)	10.000	096873	08*)	5.000
022239	1—50	1.000	051289	11*)	5.000	072118	15*)	25.000	097229	44*)	25.000
022478	1—50	400	051570	13*)	5.000	072154	30*)	10.000	097797	30*)	10.000
022742	01*)	10.000	052050	1—50	400	072929	39*)	5.000	097808	43*)	5.000
023617	21*)	5.000	053723	26*)	5.000	073549	42*)	5.000	0.7901	1—50	400
023881	1—50	400	053838	1—50	400	074458	20*)	5.000	098904	1—50	400
025530	1—50	400	054118	04*)	5.000	075340	1—50	1.000	099167	1—50	400
025565	01*)	5.000	054556	1—50	1.000	075798	23*)	5.000	099989	14*)	5.000
025584	34*)	5.000				076353	1—50	1.000			

*) ამ სერიის დანარჩენ 49 ნომერ ობლიგაციას ხვდა 400 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — გორკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. დ. პროსკურინი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ვ. ჟ. ჟიშკო.

**სახდაზღვევის ორგანოები აწარმოებენ სიცოცხლის დაზღვევას. ყველას შეუძლია თავი დაიზღვიოს სხვადასხვა ვადით და სხვადასხვა თანხით. დაზღვევის ხელშეკრულებათა დასადებად მიმართეთ სახდაზღ